

# დროშა

№ 1 იანვარი 1966

ეროვნული ბიბლიოთეკა
669
1966

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (174) იანვარი, 1966 წ.

გამოცემის XVI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი




## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1965 წლის 29 დეკემბერი.




ფოტო ს. კილაძისა.

# „კოლხიდა"- ათასი, ასი ათასი

▲ ახალი მანქანების კონსტრუქტორები (მარცხნიდან): დ. მიქელაძე, გ. კობახიძე, ვ. ცნობილაძე, დ. ფოფხაძე და დ. ჩიბაშვილი.



▼ მექანიკურ-ინსტრუმენტული სამქრო



პრაღაში, ცენტრალური ბულვარის ბოლოს ცისფრად შეღებილი, ლამაზი სახარგო მანქანების კოლონა იდგა. მანქანებიდან მუშებს ფიცრის მძიმე ყუთები გადმოჰქონდათ. მაღალმა, ოდნავ წელში მოხრილმა, შავშლიაპიანმა მოხუცმა კაცმა მანქანას თავიდან დაუარა და რადიატორთან გაკეთებულ წარწერას დააკვირდა:

— კოლ-ხი-და!... — დამარცვლით წაიკითხა და ჩაფიქრდა: საიდან ახსოვს ეს სიტყვა. ჰო, კოლხიდა! მითიური მედეას სამშობლო, ოდესღაც არგონავტები რომ მიეჭრნენ ოქროს საწმისის გასატაცებლად.

მოხუცმა შოფერს თვალით მანქანაზე ანიშნა:

— მაშ ქართველია?

— დიახ, — გაიღიმა შოფერმა, — ქუთაისელი!

— შენ სადაური ხარ?

— მე მინსკიდან ვარ. ჰოდა, ვეზიდებით ტვირთს ჩვენს საზღვრებს იქით. ასეთი კოლონა ლენინგრადსაც აქვს.

მოხუცმა კიდევ ერთხელ დახედა მანქანის კაპოტზე გამოყვანილ ლითონის ასოებს და აუჩქარებლად გაუდგა თავის გზას. მას არასოდეს არ ენახა კოლხეთი, თუმცა ბევრი რამ კი ჰქონდა მასზე წაკითხული... მხოლოდ ოცნებით წარმოედგინა ეს მხარე, და აი, ცისფერმა, ლამაზმა და ღონიერმა მანქანამ თითქოს გამოარღვია ბებერი კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები და ამ ოქროსფერ კოხტა ქალაქში შორეული ზღვისა და უძველესი მიწის სურნელება შემოიტანა.

ეს იყო გასული წლის ოქტომბრის მიწურულს. როცა მოხუცი ჩვენ „კოლხიდას" ათვალიერებდა, იმ დღეს ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში თავიანთი მუშაობის ათი თვის შედეგებს აჯამებდნენ. გეგმა ას ერთი პროცენტით იყო შესრულებული.

ეს მშრალი ციფრებია, მაგრამ მათში მრავალათასიანი კოლექტივის შრომა და ენერგიაა ჩაქსოვილი. 1951 წლის აგვისტოში ამ ქარხნის კონვეიერიდან პირველი ავტომანქანა ჩამოვიდა, ახლა კი ქარხანა ყოველწლიურად აუარებელ მანქანას უშვებს. გარდა ამისა, ქარხანა ამზადებს იმდენ დეტალს, რომ მათგან დამატებით კიდევ ოცდახუთი ათასი მანქანის აწყობა შეიძლება. ეს ცოტა როდია! წელს ქუთაისელები ახალი მოდელის ასორმოცდაათცხენისძალიან სახარგო მანქანასაც გამოუშვებენ. მისი ტვირთზიდვა, მისაბმელთან ერთად, თორმეტ ტონას მიაღწევს. ამ სიახლეს განსაკუთრებით ხელი შეუწყო ჭედადი თუჯის მექანიზებული საამქროს ამუშავებამ, სადაც პირველად საბჭოთა კავშირში დაიდგა თუჯის ელექტროგადამხურებელ-დამგროვებელი. ეს აგრეგატი არა მარტო დიდი რაოდენობის თუჯს იძლევა, არამედ საგრძნობლად ამაღლებს მის ხარისხსაც. ხარისხიანი ჭედადი თუჯი კი ავტომშენებლობის ძირითადი მასალაა.

კიდევ ერთი სიახლე: წელს მანქანის კაბინებს მოსკოვიდან აღარ დაელოდებიან, აქვე დაამზადებენ. ამით დამთავრდება ქარხნის სრული დაკომპლექტება.

საამქროებში ჩარხების ოცდახუთი პროცენტი მოძველებულია და ვეღარ ასრულებენ იმ ტექნიკურ მოთხოვნილებებს, რასაც მრეწველობას თანამედროვე ავტომშენებლობა უყენებს.

ეს, რა თქმა უნდა, მოქმედებს როგორც პროდუქციის ხარისხზე, ისე ავტომშენებელთა გამომუშავებაზე; ეს კი თავის მხრივ ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ბევრი მუშა ქარხანაში დიდხანს არ ჩერდება. დაიწყებს მუშაობას, მიიხედ-მოიხედავს და ისევ ახალი ადგილის ძებნას იწყებს. ამიტომაც არის, რომ დღეისათვის ქარხანას შვიდასზე მეტი კვალიფიცირებული მუშა აკლია.

კადრების ამ დენადობას, დაბალი გამომუშავების გარდა, იწვევს საცხოვრებელი ბინების ნაკლებობა. მუშების ერთი ნაწილი დღესაც ოცდაათ კილომეტრზე მდებარე სოფლებიდან გადმოჰყავთ მანქანებით.

პარტიის სექტემბრის პლენუმმა ქარხნის კოლექტივს ფართო პერსპექტივები დაუსახა ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

— წინანდელთან შედარებით ახლა გაცილებით ფართო ასპარეზი გვაქვს, ამ პლენუმმა ნამდვილად ფრთები შეგვასხა ყველას, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა გ. კობალაძემ,—ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია ქარხნის საჭიროებისამებრ, დამოუკიდებლად დავიანგარიშოთ ჩვენი შესაძლებლობანი, გამოვიყენოთ ჩვენი თანხები, დროზე შევცვალოთ მოძველებული ჩარხები, არ გადავყვეთ ქაღალდების ფუჭ ტრიალს —.ათასნაირ მიწერ-მოწერას იმაზე, რაც აქვე შეიძლება გადავწყვიტოთ, ამას გარდა, ახლა შეგვიძლია უფრო მეტი ბინები ავაშენოთ, რომ თვითეული ჩვენი მუშა უზრუნველყოფილი იყოს მატერიალურადაც და კეთილმოწყობილ ბინაშიც ცხოვრობდეს. სწორედ ასეთი ფიქრებითა და მისწრაფებებით ვხვდებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობებს.

ალ. ინწკირველი

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



დღეს უნდა მოვასწროთ, თორემ საცაა დაიწყება ახალი წელი... ხელთ ვეებერთელა სია გვიპყრავს და გზაზე ვდგავართ — უნდა ვესაუბროთ ჩვენს სასიქადულო ადამიანებს, მივულოცოთ, დღეგრძელობა ვუსურვოთ, შევიტყოთ როგორ ხვდებიან ახალ წელს. და აი, არ ვიცით, ვისგან დავიწყოთ. ვსხდებით მანქანაში. — საით? — გვეკითხება შოფერი.

— ვაკეში, ბარნოვის ქუჩა. პროფ. სიმონ ხეჩინაშვილის ბინა.

# ასე დაიწყო ეს წელი

შევდივართ პროფესორის კაბინეტში, ახალ წელს ვულოცავთ და ვეუბნებით, რომ რედაქციიდან ვართ. ინტერვიუ გვინდა. გამოჩენილი მკურნალი დინჯად იწყებს საუბარს. და იმავე წუთს მაგიდაზე ტელეფონის ზარი წკრიალებს. პროფესორმა ლაპარაკი ჩვეულებრივი ხმით დაიწყო, თანდათან ხმას დაუწია და ბოლოს, რატომღაც, სულ ჩურჩულზე გადავიდა.

— გმადლობთ, ჩემო კარგო! — ამბობდა იგი, — მეც გილოცავთ. მრავალ ბედნიერ ახალ წელს დაესწარით. ძალიან გამახარეთ... იცოდეთ, ყველაზე მეტად თქვენ გამახარეთ.

ნეტავ ვინ არის ან რათ ელაპარაკება ჩურჩულით, გავიფიქრეთ ჩვენ. პროფესორმა მილი დადო, მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— ალბათ გაგიკვირდათ, არა? ჩემი პაციენტი იყო. თითქმის მთელი ოცი წელიწადი სმენა დაკარგული ჰქონდა. ახლა კი, ოპერაციის შემდეგ, თქვენ თითონ ხომ შენიშნეთ, ჩურჩულით ლაპარაკიც კი ესმის...

საახალწლო ინტერვიუს ეს ამბავი სჯობდა. აი, მილოცვაც ასეთი უნდა!

ფოტო
ო. თურქიასი
და
ბ. დადგაძისა



ჩვენს ფოტო-კორესპონდენტს ბედმა გაუღიმა — სახელოვანი მეჩაიეები ნაირა გოგატაძე და მაყვალა ჯინჭარაძე ერთად ნახა.

— აბა, მეჩაიეებს ახალწლის ღამეს რა გვეთქმის. ინტერვიუსათვის მეღვინეებთან მიბრძანდით!





ვასო გოძიაშვილი სავარძელში იჯდა და ფიქრში წასული ათვალიერებდა რაღაც ესკიზებს. ვკითხეთ, რას ჩასცქეროდა ასეთი ინტერესით:

— ეს ჩემი არქივია. აგერ, შეხედეთ, ჩემი მეფე ერეკლე, რიჩარდი, ლუარსაბი, ავეტიკა. მოკლედ, მე და ჩემი გმირები სულ აქა ვართ. მომენატრა მათთან გასაუბრება. როგორ ვხვდები ახალ წელს? ფიქრად მაქვს ამ ძველებს ახლები მივუმატო, ჩემი გმირების არმია უფრო მეტად გავზარდო...



გვეჩქარება. ჩვენი მანქანა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მიჰქრის. კიდევ ბევრ ადგილას ვართ მისასვლელი. მაინც იძულებული ვართ შევჩერდეთ. რვასართულიანი სახლის წინ კოშკურა მანქანაა გაჩერებული, ზედ ელექტრომონტიორი დგას და ხელებს ასავსავებს. მის წინ, მესამე სართულის აივანზე ორი ახალგაზრდა გადმომდგარა და ღვინით სავსე ყანწს აწვდიან.

— დაილოცე ძმაო, — აძალებენ ახალგაზრდები, — შენზე კარგი ვინ გვეყოლება, ჩვენი თვალის სინათლე შენა ხარ!

ეს კი ბედნიერი მამაა. შვილი შეეძინა, მაგრამ სამშობიარო სახლში არ უშვებენ, ამიტომ ამჯობინა ეზოდან მიელოცა მეუღლისათვის და პატარა თათბირიც მოეწყო სახელის არჩევის თაობაზე.

ვიფიქრეთ, ამ სასიხარულო დღეს იპოლიტე ხვიჩიაზე უფრო მხიარულ კაცს სად ვიპოვითო. თეატრისაკენ გავეშურეთ, ერთი ფეხით გაესწრო — საყიდლებზე წავიდაო, გვითხრეს. იპოლიტე საკონდიტროში აღმოვაჩინეთ.

— შენი ჭირიმე, ასი გრამი მოხალული ნუში მინდა, თამადას დავპირდი.

— ნუში? არა გვაქვს, აფთიაქში მიბრძანდით!

— ვიყავი, ლამაზო, იქიდან აქ გამომგზავნეს.





ბათუმიდან სამხრეთით, ოციოდე კილომეტრის დაშორებით, ვიწრო ხეობაში, იმ ადგილზე, სადაც მდინარე ჭოჭოსწყალი ჭოროხს უერთდება, მთის ფერდობზე სოფელ ერგეს დაინახავთ. ვიდრე სოფლამდე მიაღწევთ, ჯერ მარცხნივ უნდა გადაუხვიოთ და ფერდობზე გაჭრილ გზას შეუყვეთ, ეს გზა ერთი პირობა რიყის პირას გატარებთ, მერე თანდათან ზევით და ზევით შემოიმაღლებს და სოფელში შეგიყვანთ.

გზათ მოხუცი შემოგვეყარა, გაგვეცნო — ახმედ ლეონიძე ვარო.

— პაპაჩემისაგან გამიგია, რომ ეს მიწა-წყალი ძველთაგანვე ლეონიძეებით იყო დასახლებული, — გვითხრა მოხუცმა, — მაგრამ ვინ მოსთვლის რამდენჯერ აგვყარა მტერმა, რამდენჯერ გაგვფანტა აქეთ-იქით. ლეონიძეები ახლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ცხოვრობენ, მაგრამ იცოდეთ, შვილო, ყველანი აქედან არიან წასული... შარშან ერთი სახელოვანი ადამიანი გვეწვია, — განაგრძობს პაპა, — პირადად არ მინახავს, ბავშვებმა ამოიტანეს ამბავი, სახალხო მგოსანი გიორგი ლეონიძე ამოვიდა სტუმრადო. გიორგი ნასწავლი და ყველაფრის მცოდნე ადამიანია. ამიტომაც არც გამკვირვებია, როცა გავიგე, რომ იმ დალოცვილს თურმე თავკაცებში საჯაროდ უთქვამს — ჩემი წინაპრები, როგორც ეტყობა, კახეთში აჭარიდან უნდა იყვნენ გადასულიო.

— სოფელ ერგეშიც გვყავს ერთი სახელოვანი ლეონიძე, — ახლა ბრიგადირი ჰასან ლეონიძე ჩაება საუბარში, — ეს ლეონიძე ახალგაზრდა ქალია, მაგრამ ბიჭი ხარ და გაუტოლდი, მიდი და ამოუდექი მხარში! აი მიხვალთ კანტორაში, პირადად გაეცნობით ლეილა ლეონიძეს და მაშინ დარწმუნდებით მართალი ვარ თუ არა!

ჰასანი ჩერდება, დასტურის მოლოდინში ვვერდულად გასცქერის პაპა ახმედს და ამაყად ამთავრებს სათქმელს:

— ტყუილად როდი უთქვამს დალოცვილ შოთას: — ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

* * *

ერგეში ციტრუსების რთველია გაჩაღებული. დიდი და პატარა პლანტაციებში გაკრეფილან. წუთი რა არის, წუთი მოსვენებაც კი არა აქვთ სოფლის თავკაცებს. დღესაც თურმე უთენია ამდგარა კოლმეურნეობის თავმჯდომარე. მეშვიდე ბრიგადას გუშინ გეგმის შესრულება ცოტა შეუფერხდა, იქნებ დახმარება სჭირდებათო! — ასე დაუბარებია კანტორაში და წასულა.

საათზე მეტია დავეძებთ თავმჯდომარეს. ტალახში ამოსვრილ მანქანას აღმა-დაღმა დავატარებთ სოფლის გზებზე, მაგრამ მაინც ვერსად მივუსწარით მას.

— ნუ გაგიკვირდებათ, ბატონო, ციტრუსების მოსავალი მოგვეძალა და ცოტა ნერვიულობს ჩვენი თავმჯდომარე, — გვეუბნება მეშვიდე ბრიგადის ბრიგადირი, — ამ პლანტაციიდან თავმჯდომარე, თუ არ ვცდები, მგონი, ყუთების შემკეთებელ ფარდულში აპირებდა ჩასვლას...

მანქანა ისევ რწევით მიუყვება ჭოჭოსწყლის გასწვრივ გაჭრილ გზას. ჩვენი მეგზური, ბრიგადირი ახმედ თედორაძე, უკვე გაგვიშინაურდა და მანქანის სავარძელზე მიყრდნობილი დინჯად გვიყვება თავისი სოფლის ამბებს.

ერგე რამდენიმე წლის წინათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობა ყოფილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისიც საკმარისი იქნება თუ ვიტყვით, რომ სამი წლის განმავლობაში არტელმა ზედიზედ სამი თავმჯდომარე გამოიცვალა. მოვიდოდა თურმე ახალი თავმჯდომარე, რიხით შეაღებდა თავისი კაბინეტის კარს, მაგიდის გარშემო ბჭობად დასხავდა სოფლის თავკაცებს და... სამეურნეო წლის დასასრულს პირშერცხვენილი აიკრავდა გუდა-ნაბადს.

ბოლოს პარტიის რაიონული კომიტეტი ჩაერია საქმეში. მისი წინადადებით სოფელმა ახალი თავმჯდომარე აირჩია. ამ არჩევნებმა ყველა როდი გაახარა, იყვნენ თითო-ოროლა კოლმეურნეები, რომლებიც ეჭვის თვალით შესცქეროდნენ ახალ თავმჯდომარეს, რა საქმეს უნდა მოუვლინოს ამ გუშინდელმა ბაღანამო.

ლეილა ლეონიძეს ყურადღება არც კი მიუქცევია ასეთი მითქმა-მოთქმისათვის. არც ეცალა, მას უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი.

ახალმა თავმჯდომარემ მალე მოურგო გასაღები ხალხის სათუთ გულს. ლეილამ თავიდანვე აამოქმედა აქამდე უჩინარი რეზერვები, მატერიალურ დაინტერესებასთან ერთად თავმჯდომარემ ფართო გასაქანი მისცა პირად თაოსნობას და რამდენიმე თვეში დაანახა ხალხს, რომ იგი ნიჭიერი და უნარიანი ხელმძღვანელი იყო.

სოფელი ნელ-ნელა გაიმართა წელში. შრომას ფასი დაედო, ოჯახებში დოვლათმა იმატა. კოლმეურნეობას უკვე შეეძლო ფართოდ გაეშალა მხრები და საკუთარი სახსრებით დაეწყო ახალი ხიდის, საბავშვო ბაგის, სამკერვალოს და სკოლის მშენებლობა.

ლეილას გულისხმიერებაზე ახმედს ბევრი რამის თქმა შეუძლია, მაგრამ მხოლოდ ერთ ამბავს გვიყვება, რომელიც პირადად შეემთხვა მას.

იმ დღეს ახმედი შებინდების ხანს გამოვიდა სახლიდან, თავისი ბიჭუნას სანახავად მიეშურებოდა, რომელიც მახლობელ კურორტ „ცისკარში“ ისვენებდა. სოფლიდან ათი კილომეტრი არც ექნებოდათ გავლილი, რომ მსუბუქი მანქანა ნაწვიმარ გზაზე ასხლტა, მოულოდნელად გადაბრუნდა და ხრამში გადაიჩეხა.

ახმედ თედორაძე თითქმის ერთი თვე იწვა საავადმყოფოში. ჩაის ფოთლის კრეფის გაცხარებული სეზონი იყო, მაგრამ თავმჯდომარე ღამ-ღამობით მაინც ახერხებდა ბათუმში ჩასვლას. მივიდოდა ხოლმე ახმედთან, მოსაკითხს მიუტანდა, ტკივილებისაგან გატანჯულ ვაჟკაცს იმედიანი სიტყვით გაახარებდა და აღუთქვამდა მალე კიდევ განახავო.

— მარტო ექიმებმა კი არა, ლეილას გულკეთილობამ მომარჩინა, მისმა კარგმა ადამიანობამ წამომაყენა ფეხზე! — ამთავრებს სიტყვას ახმედი.

— მოქალაქე, სდექ! მანდ გადასასვლელი არ არის!

— მიგვიანდება, შენი ჭირიმე!

— ახალ წელს მაინც დაიცავი წესრიგი, შე კაცო!



— დახეთ, ამ ახალწლის ღამეს არჩევაზეა საქმე, იმდენია ეს მანქანები. სხვა დროს კი სანთლით საძებარი არიან.



...თავმჯდომარეს ვერც უუთების შემკეთებელ ფარდულში მივუსწარით. მგზავრობით დაღლილებმა გადავწყვიტეთ კანტორაში ჩავსულიყავით, კოლმეურნეებს გავსაუბრებოდით და მოთმინებით მოგვეცადა, ვიდრე უგზო-უკვლოდ დაკარგული ლეილა გამოჩნდებოდა.

* * *

ყველაფერმა გაუმართლათ ერგელებს. ჩაის ფოთლის კრეფაშიც თავი ისახელეს და წლევანდობის გეგმაც თურმე ათ თვეში შეასრულეს.

ერგელებს ციტრუსები 99 ჰექტარზე აქვთ გაშენებული. გეგმის მიხედვით წელს 70 ტონა ნაყოფი უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ ისეთი კარგი მოსავალი მოვიდა, რომ კოლმეურნეები ვარაუდობენ, მშრომელთა საახალწლო სუფრას გაცილებით მეტი მიაწოდონ.

ახლა ყველაფერს მეტი ხალისი მიეცა. კოლმეურნეები ყოველნაირად ცდილობენ მოსავლიანობა გაადიდონ, იმგვარად დაგეგმონ მეურნეობა, რომ იგი მათთვისაც სასარგებლო იყოს და სახელმწიფო გეგმების შესრულებაც უზრუნველყონ.

წინათ კი ასე როდი იყო. მარტის ისტორიულ პლენუმამდე ინსტრუქციები ხშირად „ზემოდან“ მოდიოდა. გინდოდა თუ არ გინდოდა, უნდა ამდგარიყავი და თავიდან ბოლომდე ზუსტად შეგესრულებინა ყველაფერი.

ერგეს კოლმეურნეობას თავისი ფერმებისათვის მხოლოდ 860 ტონა სილოსი სჭირდებოდა. მითითების მიხედვით კი ისინი, წლების მანძილზე, იძულებულნი იყვნენ 550 ტონა სილოსი დაემზადებინათ. ჩასდებდნენ ხოლმე 550 ტონა სილოსს კოლმეურნეები, რაც სჭირდებოდათ, იხმარებდნენ, რაც არა და უქმად ეყარა.

ერთხელ ერგეს კოლმეურნეობას მითითება მისცეს, გინდათ თუ არა გინდათ, ქერი უნდა დათესოთო. მეტი რა ჩარა იყო, ადგნენ და დათესეს, მაგრამ იმის ნახევარიც კი ვერ მოიმკეს, რაც მიწაში ჩაყარეს. მოდი და ამის შემდეგ ერწმუნე ძველ ანდაზას — რასაც დასთეს, იმას მოიმკიო, ღიმილით ამბობდნენ კოლმეურნეები.

მარტის ისტორიულმა პლენუმმა ახალი სხივი შეიტანა საკოლმეურნეო ცხოვრებაში, ენერგია და მხნეობა შემატა გლეხებს. კოლმეურნეები ახლა დარწმუნებული არიან, რომ პლენუმის გადაწყვეტილებები, რაც დრო გავა, უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს, უფრო კულტურული და დოვლათიანი გახდება ჩვენი სოფელი.

* * *

საუბარში გართულებს მოულოდნელად საშუალო ტანის, პირხმელი კაცი წამოგვადგა თავზე.

— გაიცანით, ერგეს რვაწლიანი სკოლის პედაგოგი და მეჩაიეთა რგოლის მერგოლური მიხეილ გვიანიძე გახლავთ! — ეშმაკურად იღიმება ბუღალტერი.

მიხეილ გვიანიძე შუახანს მიღწეული კაცია, ოცდაერთი წელია, რაც მასწავლებლად მუშაობს. ის ამბავი კი, რომ იგი პედაგოგობასთან ერთად კოლმეურნეობის მეჩაიეთა რგოლის მერგოლურადაც დანიშნეს — დაუჯერებლად გვეჩვენება.

— მოითმინეთ, ახლავე გაგაგებინებთ ყველაფერს, — იღიმება მიხეილი და თან ყასიდად გაბრაზებით უქნევს ხელს ბუღალტერს, რომელმაც იძულებული გახადა ალბათ უკვე ათასჯერ მოყოლილი ამბავი ერთხელ კიდევ მოეყოლა ჩვენთვის.

...მოხდა ისე, რომ სიყრმის შვილი მიხეილს ქალი შეეძინა, მომდევნოც ქალი იყო, მესამეც ქალი, მეოთხეც და... მეხუთეც — ქალი! ბოლოს, როგორც ეტყობა, ღმერთმა შეიბრალა იმედდაკარგული მამა და ზედიზედ სამი ვაჟიშვილი აჩუქა.

— რაღა უჭირს მიხეილს, წამოეზრდებიან ბალნები, მუხლს გაიმაგრებენ და სახლში მთელი რგოლი ეყოლება! — ხუმრობდნენ სოფელში.

უფროსი ქალიშვილი ნანული მიხეილმა ქედას რაიონში გაათხოვა. შვიდი შვილი კი, მამის შვიდი სიხარული, მასთან ერთად ცხოვრობს გამოხდა ხანი და, იმ ხუმრობით ნათქვამი სიტყვებისა არ იყოს, შვიდი და-ძმა, მამასთან ერთად, თავისუფალ დროს მოიხელთებენ თუ არა, პლანტაციაში გადიან და კოლმეურნეობას ჩაის კრეფაში ახმარებენ ხელს.

მიხეილ გვიანიძის „რგოლმა“ შარშან 8 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა და 700 მანეთი შემოსავალი შეიტანა ოჯახში.

• • •

ზემო ჯოჭოში მგზავრობის დროს შარშანდელი ამბავი გამახსენდა.

შემოდგომის პირი იყო. ქუთაისიდან გელათის აკადემიის ნანგრევების დასათვალიერებლად მივემგზავრებოდით.

ჩვენი მძღოლი, მოსკოვიდან ჩამოსული ისტორიკოსი ვიქტორ ორლოვი, მალ-მალე აჩერებდა „ვოლგას“, მანქანიდან გადმოდიოდა და შეშფოთებული გაიძახოდა: „აღარ შემიძლია ამდენი ხრამების ყურება, თვალები მიჭრელდება. ამ გზაზე სიარულს ჰაერში გაბმულ თოკზე გავლა მირჩევნია!“

ვიქტორი პირველად იყო საქართველოში. იგი რუსეთის სწორ და ფართო გზებზე სიარულს იყო დაჩვეული და რა გასაკვირია, რომ გელათის არც თუ ისე ძნელი გზა საბედისწერო გადასასვლელად მოეჩვენა?

ნეტა სად არის ახლა ვიქტორ ორლოვი! კოლმეურნეობის ახალგაზრდა შოფერს მართლაც რომ ოსტატურად მიჰყავს მანქანა. უზარმაზარ ხრამებზე დაკიდებულ ვიწრო გზაზე მანქანა მსუბუქად და სწრაფად მოძრაობს.

როგორც იყო ავათავეთ აღმართი, შეშვიან ღობეზე აბმული ჭიშკარი გავლიეთ და ციტრუსების პლანტაციაში შევედით.

გარშემო მანდარინის გორებია დახვავებული. მოშორებით, ციტრუსებით პირთამდე სავსე გოდრებთან, კოლმეურნეების გვერდით ჯანღონით სავსე ქალი ჩამდგარა და ხელების ქნევით გატაცებით საუბრობს რაღაცაზე.

ეს ქალი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბათუმის რაიონის სოფელ ერგეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ლეილა ლეონიძე გახლავთ.

ნელ-ნელა ეშვება ბინდი, ქვევით, სიბნელეში ჩაფლულ სოფელში, ციცინათელასავით იწყებენ ციმციმს ილიჩის ნათურები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მხარდამხარ მომყვება და გატაცებით მესაუბრება ხვალინდელ დღეზე, კოლმეურნეობის ახალ გეგმებზე და გადასაჭრელ ამოცანებზე.

ლეილა გვთხოვს მისი გეგმების შესახებ ჯერ არაფერი არ დავწეროთ, ჯერ მოვიცადოთ, საქმე გაკეთდეს და წერას მერეც მოვასწრებთო.

ლეილას თხოვნას ვასრულებთ, მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ სოფლის ეს მარჯვე ხელმძღვანელი ხვალინდელ დღისადმი კიდევ უფრო მტკიცე რწმენითა და იმედით არის აღსავსე.

მალე კრემლის ყრილობათა დიდ დარბაზში მუშაობას დაიწყებს ჩვენი პარტიის XXIII ყრილობა; ამ დღის შესახვედრად ერგელებიც გატაცებით ემზადებიან. ისინი მთელი სულითა და გულით მონდომებულნი არიან ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ ამ სასიხარულო დღეს.

ოთარ დემეტრაშვილი

— ბედი მაქვს ახლა მე? ოცდაათი მანქანიდან რაღა მაინც და მაინც ეს შემხვდა. შოფერს კი ვატყობ, არ ეჩქარება, მორიგეა და შინ არ მიელიან.



— დახეთ, დამპალი ძაფით შეუკრავს იმ გოგოს. თან რომ მარიგებდა კიდეც: ესე დაიჭირე, თორემ დაწყდებაო.



# გურჯი ხარ, ჯოვ?



თურქეთში, ქალაქ იზმირში მოწყობილ მსოფლიო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონმა საყოველთაო ყურადღება მიიქცია.

ამ პავილიონის მოსაწყობად იზმირს თავდაპირველად თექვსმეტი საბჭოთა სპეციალისტი ეწვია. მათ შორის ორნი ვიყავით ქართველები: თბილისის მთავარი მხატვარი ოთარ ლითანიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ოთარი საბჭოთა პავილიონის საქართველოს განყოფილების მხატვარი-გამფორმებელი იყო. მან მრავალი შესანიშნავი ჩანაფიქრი ჩამოიტანა თან, გზა და გზა მიზიარებდა თავის აზრებს და მე უკვე ვგრძნობდი, რომ ჩვენი გამოფენა ძალზე ლამაზი იქნებოდა.

და აი, შევუდექით მუშაობას. ლითანიშვილი წუთით არ ისვენებს, დარბის, ფიცხობს, ნამუშევარს ამოწმებს, იწონებს; თურქ ხელოსნებს უხარიათ— ჰირველ, მაგრამ საქმის მცოდნე „გურჯ პროფესორს“ ძნელი გამოცდა ჩააბარეს. მე თარჯიმნობას ვეწევი და ჩვენს ექსპონატებს გამოფენისათვის ვამზადებ. ვგრძნობთ რა მოვალეობა გვაკისრია — საბჭოთა პავილიონში, საკავშირო ფირმების მხარდამხარ, ცალკე ექსპოზიციით იქნება წარმოდგენილი საქართველო, ერთადერთი თხუთმეტი მოძმე რესპუბლიკიდან. ეს დიდი პატივია, და საქმეს ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ.

სულ მალე „მაშველი ძალები“ ჩამოგვივიდნენ — აბესალომ ხუნწარია და იგორ გრიგოლია. ორივემ დაუყოვნებლივ დაიკაპიწეს ხელი. აბესალომი დღედაღამ ჩაის ფაბრიკის მოძრავ მოდელს დასტრიალებს, იგორი კი ქუთაისურ არტეზიულ ტუმბოს ჩაჰკირკიტებს. მათს შემდეგ ჩვენს ჯგუფს მიემატნენ ილია პრთმელაძე, რაფიელ ელიგულაშვილი, ოთარ გიგინეიშვილი, რობერტ გერგაია და ილია დათუნაშვილი. უკვე მზად ვართ სტუმრების მისაღებად. ჩვენი სტენდები უმალ იტაცებენ თვალს, ისინი გამოირჩევიან ორიგინალურობით, დახვეწილი სილამაზითა და სიფაქიზით. ჭერამდე აწვდილი დეკორატიული ქართული ბუხრის ფონზე გაშლილ პოდიუმზე გამოფენილია ქართველი კაცის გამრჯე და მადლიანი მარჯვენის ნაამაგარი— თბილისური „163“ მოდელის უნივერსალური სახარატო ხრახნმჭრელი დაზგა, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, შალისა და აბრეშუმის ქსოვილი, ფეხსაცმელი, პიანინო „საქართველო“, ელმავლის მაკეტი, კერამიკა, ქალის წინდები, სუვენირები, ეროვნული მუსიკალური საკრავები, ჩაის ფაბრიკის მოძრავი მოდელი, მხატვრული და სამეცნიერო-ტექნიკური წიგნები, არტეზიული ტუმბო, ლიტოპონი და შაბიამანი ქუთაისიდან, ნავთობის პროდუქტები და წყალქვეშა ფრთიანი საზღვაო კატარღა ბათუმიდან; რუსთავის ცემენტი, ხელოვნური სასუქი და, რა თქმა უნდა, მეტალურგიული ქარხნის ნაწარმი; ჭიათურის მარგანეცი, ზესტაფონის ფეროშენადნობი, ქართული მარმარილო, ეთერზეთი, ღვინო, კონიაკი, შამპანური, თამბაქო, ჩაი, დაფნა, მინერალური წყალი „ბორჯომი“ და კიდევ ვინ მოსთვლის!

ცალკე მოწყობილი გვაქვს ფოტოსტენდი, რომელიც საქართველოს ულამაზეს პეიზაჟებს წარმოგვისახავს, აქვეა ჩვენი სასიქადულო ადამიანების—გამოჩენილი ქართველი მეცნიერების, მწერლების, მსახიობების, სახალხო მეურნეობის მოწინავე ადამიანების, ქართველი სპორტსმენებისა და სხვათა პორტრეტები. გაფორმებას შესანიშნავ იერს აძლევს ჭედური პანო (ავტორები კ. გურული და ი. ოჩიაური), რომელიც მთელს სიგრძეზე თალად მისდევს ჩვენს ძირითად სტენდს.

ბაზრობა გახსნა თურქეთის ვაჭრობის მინისტრმა მაჯით ზერენმა. იგი ჩვენი გამოფენის პირველი ოფიციალური სტუმარი და შემფასებელი იყო. მინისტრი და მისი თანმხლები პირები გაკვირვებას ვერ ფარავდნენ, ჩანს ნანახმა დიდად გადააჭარბა მათ მოლოდინს. შემდეგ დაიძრა დამთვალიერებელთა უწყვეტი ნაკადი. იგი ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა, არ შეთხელებულა 32 დღის მანძილზე. მოდიოდა დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, მტერი და მოყვარე. დიდხანს იდგნენ ისინი „გურჯისტანის პავილიონში“. გვქონდა სასიამოვნო შეხვედრებიც და ნაკლებსაინტერესო დიალოგებიც პანთურქისტული ბოდვით თავგამოტენილ ადამიანებთან. მრავალი იყო მეგობრული ღიმილი და დაკოჟრილი, ნაჯაფარი ხელის ჩამორთმევა. მეტად კონტრასტული იყო მნახველთა მასა: მდიდარ ბურჟუას, თვითდაჯერებულსა და ამპარტავანს, მოყვებოდა ღარიბი გლეხისა თუ მუშის ოჯახი, რომლის ყველა წევრი გამოფენაზე მოსულიყო საბჭოთა პავილიონში თავისი სიმპათიების გამოსავლენად. მედიდურ სიმდიდრეს ენაცვლებოდა ღატაკის კონკები, ლაქის მოელვარე ფეხსაცმელს — სოფლური ჩარიკი (ქალამანი). ადვილად გაარჩევდით ვინ იყო მოსული სამეგობროდ და ვინ დასცქეროდა შურის თვალით ჩვენი ხალხის ნაამაგარს.

რა თქმა უნდა, მოდიოდნენ თურქეთში მცხოვრები ქართველებიც, მოდიოდნენ, რომ შორიდან მაინც გასცნობოდნენ თავიანთ სამშობლოს. დაუვიწყარი და ამაღელვებელი იყო მათთან შეხვედრები, საუბრები.

...საღამოა. ჩემს სამუშაო ოთახში ვზივარ. უცებ კარი იღება და ოთახში თეთრწვერა მოხუცი შემოდის.

„გაცოცხლოს ღმერთმა!“ — მეუბნება ქართულად.

„მობრძანდით, ბატონო!“ — მივაგებე. დავსვი. ჩვენებური სიგარეტი მივაწოდე. გააბოლა და მკითხა:

„გურჯი ხარ, ჯოვ?“

„დიახ, ბატონო“.

„რა გვარი ხარ?“

ვუპასუხე.

„ბალამ-ბულანა გყავს?“

სამი შვილი მყავს მეთქი, ვუთხარი მოხუცს.



— ამას რაღა ჯანდაბა დაემართა? კარგი კი იქნება, ამ გალიაში თუ გავათენე ახალი წელი? გამიღეთ, ხალხი არა ხართ?



— ეროსი, დამაცადე ბიჭო, მოვითქვა სული, თორემ ამ ყანწს ისე რა დამალევინებს!



გამოფენის გახსნა

საქართველოს პავილიონი იზმირის გამოფენაზე



„მეც სამი ღარჰი მყავს, ორი ბიჰი და ერთი ციცაი. ბადიშებიც მყავს პატინები“.

„პატინები?“

„ჰო, პატინები, იანი (ე. ი.) პაწაი, ჯოვ!“ — მიხსნის მოხუცი და შემდეგ აუჩქარებლად მესაუბრება ისეთი ქართულით, ჩემი გურული წინაპარი რომ ლაპარაკობდა ოდესღაც.

მეორე სტუმარი ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცია, ახოვანი და ბრგე. ერთმანეთს ვეცნობით და იგი თავის ცხოვრებაზე მომითხრობს. მისი სოფელი აღმოსავლეთ თურქეთშია, საქართველოს საზღვრებთან, ახლო-მახლო სულ გურჯული სოფლებია: ზედვაკე, მინდიეთი, აკრია, ხერთვისი, ქვაბისთავი, იმერხევი, მარადიდი და ბევრი სხვა.

„ასკერში (ჯარში) წასვლამდე არც კი ვიცოდი ქართველს გარდა სხვა მილეთის ხალხი თუ ცხოვრობდა თურქეთში, — მეუბნება სტუმარი, — სოფლად მიწა ცოტა გვაქვს და ასკერს შემდეგ დასავლეთ თურქეთში დავრჩი გურბეთში (საშოვარზე), საცხოვრებელს ვქირაობ, ერთ-ორ მარჩილს (გროშს) ვიღებ და ოჯახს ვინახავ“.

„კარგია, ქართული არ დაგვიწყებია“, — ვეუბნები.

„აბა ამის დავიწყება როგორ იქნება, ეგ ხომ ჩემი ანა ლისანია (დედა ენაა)“, — მაძლევს პასუხს.

„არ გინდა შენი ნამდვილი სამშობლო — საქართველო ნახო?“

„ჩემი დედეი (ბაბუა) მეუბნებოდა: ჩვენი მემლექეთი (ქვეყანა) მეტი კაიაო. დიდვანებს არ უნახავთ, ამა მე უნდა ნავხო, გულში მაქვს, ეფენდი,— და მოულოდნელად მეკითხება: — ჩემი გვარის ხალხი გურჯისტანში გონჯი ხომ არ არის? დედეი მეტყოდა, ძლიერი გვარი გვაქვსო“.

ვუხსნი, მოვუთხრობ მისი გვარის შესახებ. უხარია, რომ კარგი გვარისა ყოფილა, თუმცა თურქეთში თურქული გვარი მისცეს.

„შენი დედ-მამა რას აკეთებს?“ — ვეკითხები.

„ბაბაი თუთუნჯე ირჯება, ცოტა სიმინდი მოყავს, ლობიო, ხაპი და მიწხაპაი (კარტოფილი)“.

„შვილი რამდენი გყავს?“

„ათი წელია ცოლი მყავს, ამა ალაჰმა ერთი ბიჰი მაჩუქა, ნეტავი ათ წელიწადში ათი მოეცა, ბედნიერი ვიქნებოდა. ოღონდ ციცაი არ მინდა, იმათა, რომ აქ ცხოვრება გონჯია, ყველა გაირყვნა, ქალი ქალს არ ჰგავს. ჩემს სოფელს რომ ვიყო, სხვაა, იქ ძველი ადეთია, უმფროსი და უმცროსი, ნამუსი და პატიოსნება“.

„ქართული ფილმი ნახე ჩვენთან?“,

„გაქვან თუ? სამ-ოთხი პირი შემოვიარე, ამა ვერ ნავხე“.

...მას და სხვა იქაურ ქართველებს ვეპატიჟებით კინოს სადემონსტრაციო ღია მოედანზე, სადაც ამ დროს „ქეთო და კოტეს“ უჩვენებენ. ფილმის ჩვენების დროს მალულად ვაკვირდები ჩემს ახალ გაცნობილ თვისტომებს. მაინტერესებს როგორ შეხვდებიან ქართულ კინოფილმს, რომელსაც ისინი პირველად ხედავენ. ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან კინო-ლენტები „საბჭოთა საქართველო“, „ჩვენი მარკით“, „სიჭაბუკე სიბერემდე“. დრო და დრო მესმის სტუმრების აღტაცებული წამოძახილები. ჩვენი სოფლის ლამაზ სახლებს რომ ხედავენ, მეკითხებიან — „ეს ქალაქია თუ სოფელი?“ მე ვუხსნი, რომ ეს ქართული სოფლის ჩვეულებრივი სინამდვილეა.

სეანსი დამთავრდა. ჩვენი სტუმრები ძალზე აღელვებულნი არიან, კითხვებს გვაყრიან, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ, წელში ამაყად გამართული, მხრებგაშლილი გვემშვიდობებიან, იჩქარიან, რომ ნახული და გაგონილი მეგობარ-ნათესავებს მოუთხრონ.

საბჭოთა პავილიონს თურქეთის მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარე სუათ ჰაირი ურგიუფლუ ეწვია. პრემიერი თავისი ვიზიტის დროს გაეცნო და მაღალი შეფასება მისცა პროფ. სერგი ჯიქიას ახლად გამოსულ შრომას „თურქული ქრესტომათია“, რომელიც „მეჟდუნაროდნაია კნიგას“ ჰქონდა გამოფენილი. სტუმრები, მასპინძლების თანხლებით, გულდასმით გაეცნენ საბჭოთა საქართველოს მიერ ბაზრობაზე წარმოდგენილ ექსპონატებს, მათ ახსნა-განმარტებას თურქულ ენაზე ამ სტრიქონების ავტორი აძლევდა.

მთავრობის თავმჯდომარეს საჩუქრები მივართვით, მათ შორის იყო ქართული შამპანური, კონიაკი „თბილისი“ და ღვინო „უსახელაური“. პრემიერი ფრიად ნასიამოვნები დარჩა და გულთბილად გამოგვემშვიდობა.

თურქულმა პრესამ საერთოდ საბჭოთა პავილიონს და კერძოდ მის ქართულ განყოფილებას მეტად მაღალი შეფასება მისცა. ჩვენს ექსპონატებს აუარებელი მყიდველი გამოუჩნდა. საბჭოთა პავილიონის წარმატებაზე მეტყველებს მრავალი მეგობრული ჩანაწერი შთაბეჭდილებების წიგნში: დამთვალიერებლები გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას ყოველივე იმით, რაც მათ გამოფენაზე ნახეს.

გამოვემგზავრეთ სამშობლოში, აღსავსენი რწმენით, რომ მისი დავალება პირნათლად შევასრულეთ.

— ჰაირლი იოლჯულუკლარ! გენე ბექლერიზ! (გზა მშვიდობისა, გელით კვლავ!)

ამ სიტყვებით გამოგვემშვიდობნენ თურქი კოლეგები და გვჯერა, რომ ეს გულწრფელი სურვილები იყო.

**ნოდარ კომახიძე,**

**იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონის საქართველოს სსრ განყოფილების უფროსი.**

## შენი ია ვარ

ეთერ ჯლამაძე

**ფოთლებს მაყრიან ტოტები ნუშის,**
**შენ რას აპირებ,**
**შენ რას მპირდები?**
**დღეს ის არა ვარ, რაც ვიყავ გუშინ,**
**თუ ცნობის თვალით დამაკვირდები...**
**მელოდი მარტში,**
**თუ თებერვალში,**
**მე კი ფიფქივით მოვყევ იანვარს,**
**სინათლე ადრე ჩამიდგა თვალში,**
**მიმიკარ მკერდზე,**
**შენი ია ვარ...**
**მოვსულვარ ამ მზით გამთბარ მიწაზე,**
**რომ მის სიღრმეში გავიდგა ფესვი,**
**როგორც მიჯნურის ფარული ლელვა,**
**როგორც პოეტის უთქმელი ლექსი.**



# ნანა ღვინეფაძე

## ლექსები

### ეგზოტიკური მინიატურა



კიპარისივით მინარეთები,
ნარინჯისფერი ცა;
დაბინდდება და ვიქნები
 მოწყენილი და სხვა...
ცხრა მთის იქით და
ცხრა ზღვის გადმოღმა
გადმომიფრინდა სევდა.
მომენატრე და
  გინატრე,
გამიათკეცდა ხედვა.
გამოვეპარე მოლხენილთ,
ძილი დავუფრთხე ჩიტებს,
ასე გაგიკრთობ სიზმრებს,
ასე აგიშლი ფიქრებს.
კიპარისები,
  ფიქრები,
ნარინჯისფერი ცა,
დაბინდდება და
  ვიქნები
მოწყენილი და... სხვა...

### მე მდიდარი ვარ



მე მდიდარი ვარ
 შენი სიმდიდრით,
შენი ხალხით და
 ციხე-კოშკებით;
შენი მთებით და
 იმ წყაროებით,
უოველ მწყურვალს, რომ
 ხოტბას მოსწყვეტენ...
და თუ ჩემში დგას
 მარტვილიც,
  ჯვარიც,
კვლავ მდიდარი ვარ და
 ზიარი ვარ
იმ უზარმაზარ
 მარტვილობისა,
რაც შენ გადაგხდა...

### სიყვარულო-ოცნებავ!



ჩვენ არ მოვკვდებით,
 ჩვენთვის ცოტაა ეს ასი წელი;
ჩვენთვის ბევრია სიყვარული
 და სიყვარულში აშენდება
  დიდი ცხოვრება.

ჩვენ დავბრუნდებით,
 რომ კიდევ ერთხელ
გადავირბინოთ ძველი ოცნება!
ჩვენ დავბრუნდებით
რომ გაგვიხსენონ,
 რომ ვიკამათოთ
 შვილთა შვილებთან,
და ვერ გაბედავს ვერცერთი
  ძვირს,
სამებასავით გავრჩებით მაღლა,
სიცოცხლე
 თერგივით იქუხებს
  ძირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### წვიმები



რა გიყო,
წახვალ და
ვინღა დამიბრუნებს,
ვინღა გამიცოცხლებს
იმ წუთებს ნანატრს.
წვიმები,
იები,
იები, წვიმები
იმ დღეთა სიხარულს
გაზაფხულს ატანს.
გელი და ვიცი კი,
რომ აღარ მომიხვალ,
ხანმოკლე ღიმილი
დარდის ნისლს ფანტავს...
. . . .
(შენი ღიმილი ვერსად
  ვერ იპოვნის
ჩემს მოგონებაზე
  უკეთეს მხატვარს).
. . . . .
წვიმები,
იები,
იები, წვიმები
იმ დღეთა სიხარულს
მართმევს და ფანტავს.

# რატომ ჩამოვარდა «სტარფაიტერი»

ეს მოხდა 17 საათსა და 8 წუთზე. დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების 81-ე ბომბდამშენი ესკადრილიის რგოლის მეთაურმა კლაუს ლენერტმა ბრძანება მიიღო საპატრულოდ გაფრენილიყო. მან ჰაერში აიყვანა თავისი „სტარფაიტერი". ფრენა „ჩვეულებრივი" უნდა ყოფილიყო — აეროდრომ ნიორვენიხიდან ჩრდილოეთისაკენ, შემდეგ ჰოლანდიისა და ბელგიის თავზე და ბოლოს უკან, აეროდრომზე უნდა დაბრუნებულიყო. ყოველივე ამას უნდა დასჭირებოდა ერთი საათი.

აფრენიდან ხუთი წუთის შემდეგ ლენერტს მიწიდან გადასცეს ბრძანება: „გეჭიროთ კურსი 020". ლენერტმა უპასუხა ბუნდესვერში შემოღებული სიტყვით „ო კეი" და დადუმდა. ამის შემდეგ გამოძახებაზე ლენერტი აღარ პასუხობდა. რადარებმა აღნიშნეს, რომ მისმა თვითმფრინავმა არ მოუხვია საჭირო ადგილას დასავლეთისკენ, არამედ პირდაპირი გეზით განაგრძობდა ფრენას. დანიასა და ნორვეგიაში განგაში გამოცხადდა. დანიური თვითმფრინავები ცდილობდნენ უცხო თვითმფრინავის დაჭერას, მაგრამ ამ უკანასკნელმა, არ უპასუხებდა რა სიგნალებზე, გაიქროლა 9000 მეტრის სიმაღლეზე, საათში 1.100 კმ სიჩქარით — თითქმის ბგერის სიჩქარით. ნორვეგიელი მფრინავები დაეწიენ შავჯვრიან თვითმფრინავს და ერთხანს მის გვერდით მიფრინავდნენ რამდენიმე მეტრის დაშორებით. „სტარფაიტერის" კაბინის სარკმელიდან მათ დაინახეს, რომ მფრინავი სავარძლიდან გადმოვარდნილიყო, ხოლო თვითმფრინავი ხელსაწყოების დახმარებით მიფრინავდა.

რამდენხანს იფრენდა ასე? გამოიანგარიშეს, რომ მას საწვავი ნარვიკთან გაუთავდებოდა. ნარვიკის პოლიციის უფროსს შეატყობინეს, რომ საცაა ქალაქს თვითმფრინავი დაეცემაო. ნორვეგიელთა საბედნიეროდ „სტარფაიტერი" ჩამოვარდა ნარვიკიდან 6 კილომეტრზე, უკაცრიელ ადგილზე თოვლში ჩაეფლო და აფეთქდა.

რა იყო ამ ტრაგედიის მიზეზი? დასავლეთ გერმანიის თავდაცვის ფედერატულ სამინისტროში მხრებს იჩეჩავენ — ეს გამოცანააო.

მაგრამ საქმე არა იმდენად ამ კატასტროფის მიზეზებშია, რამდენადაც იმ საფრთხეში, რომელიც მასში იმალება. სწორედ დასავლეთ გერმანიაში განლაგებული „სტარფაიტერებია" განკუთვნილი ამერიკული ატომური ბომბების გადასაზიდად. ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი", არ უარყოფს, რომ ამ თვითმფრინავებს, რომლებსაც მართავენ დასავლეთგერმანელი მფრინავები, „შეუძლიათ საპატრულო სამსახურის დროს ზიდონ ამერიკული ატომური იარაღი", ამასთან, გაზეთი დასძენს, რომ მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპის მოსახლეობას არაფრის არ უნდა ეშინოდეს. უკიდურეს შემთხვევაში, „თვითმფრინავის ჩამოვარდნის დროს, რაღაც რადიაქტიურობა შეიძლება გამოიყოს, მაგრამ იგი ალბათ, ფართოდ არ გავრცელდებაო". „შეიძლება", „ალბათ"... საკმაოდ პატარა ნუგეშია იმისათვის, ვინც იცის, თუ რა არის ატომური იარაღი, მით უმეტეს, რომ იმავე „ვაშინგტონ პოსტის" სიტყვებით რომ ვთქვათ, საზღვარგარეთ განლაგებული ატომური იარაღის უდიდესი ნაწილი ინახება გერმანიაში და „სტარფაიტერების" ერთი მეოთხედი, დატვირთული ამერიკული ატომური იარაღით, ნამდვილად დგას ასაფრენ ბილიკებზე და იცავს თხუთმეტწუთიან საბრძოლო მზადყოფნას.

ისღა დარჩა დავუმატოთ, რომ დასავლეთ გერმანიაში, უკანასკნელი თორმეტი თვის მანძილზე, „სტარფაიტერის" ტიპის თვითმფრინავებმა განიცადეს 28 ავარია.

# ვინ არის დამნაშავე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდის მიერ დანაშაულის ჩადენას ჩვენს ქვეყანაში არავითარი სოციალური საფუძველი არა აქვს, მაგრამ მაინც რატომღაც ხდება, რომ ახალგაზრდები, ჭერჭერობით, ხშირად სჩადიან დანაშაულს. თანაც მძიმეს და მეტად საშიშს. რით აიხსნება ეს? აქ მზამზარეული ფორმულით ფონს ვერ გავალთ; ასეთ შემთხვევებში თავს იჩენენ მრავალგვარი გარემოებანი, რომელთა შესწავლა გაგვიადვილებს ბოროტმოქმედებათა ალკვეთას.

დავიწყოთ სასკოლო ასაკის ახალგაზრდების აღზრდის საკითხით. ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, თუ ვის მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება — სკოლას თუ მშობლებს?! ეს სავსებით მცდარი მსჯელობაა, ვინაიდან ახალგაზრდა თაობის აღზრდა მთელი ჩვენი საზოგადოების საზრუნავია და სკოლისა და ოჯახის ვალდებულებებს შორის საზღვრის გავლება მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანია. ახალგაზრდა თაობის აღზრდისას ოჯახი და სკოლა მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი ერთი-მეორესთან, აღსაზრდელი ორივე მხრიდან მაქსიმალური მზრუნველობითა და ყურადღებით უნდა იყოს გარემოსილი; დიდი შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ჩვენში არ არსებობდეს ურთიერთგაგება ოჯახსა და სკოლას შორის. ვინც ასეთ რამეს იტყვის, ის შეურაცხყოფს საბჭოთა სკოლასაც და მილიონობით მშრომელებსაც, რომლებიც თავიანთ შვილებს შესანიშნავად და ბრწყინვალედ ზრდიან. ჩვენ გვყავს საუკეთესო ახალგაზრდობა, საამაყო ცვლა, რომელიც ღირსეულად აგრძელებს წინაპრების დიდ საქმეებს და მასზე აუგად ლაპარაკის უფლება არავის აქვს, მაგრამ, ამავე დროს, არც იმას უნდა მოვუხუჭოთ თვალი, რომ არიან ახალგაზრდები, რომლებიც ჩირქსა სცხებენ თავიანთ თანატოლებს და არცხვენენ საბჭოთა მოქალაქის ღირსეულ სახელს.

თუ რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის, ეს საყოველთაოდ ცნობილია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ისიც კარგადაა ცნობილი, თუ რამდენი რამ კეთდება დანაშაულის ალსაკვეთად. ამ საკითხებზე მუშაობენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოები, არამედ მთელი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, განათლებისა და უამრავი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციები. შექმნილია დანაშაულობათა შემსწავლელი და მათი თავიდან აცილების ღონისძიებების სპეციალური საკავშირო ინსტიტუტიც. ერთი სიტყვით, ამაზე ჩვენ ბევრს ვფიქრობთ, ბევრს ვმუშაობთ, მაგრამ ხანდახან სასურველ შედეგს ვერ ვაღწევთ. ამის მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ღონისძიებები აღზრდის სფეროში, ცალკეულ ადგილებზე და ცალკეულ შემთხვევებში ერთმანეთისაგან მოწყვეტილი და არათანმიმდევრულია.

ვნახოთ ეს კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიებიდან ხშირად იკარგებოდა ელექტრო და რადიომოწყობილობები, ძვირფასი ხელსაწყოები და აპარატურა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყოველივე ამას სჩადიოდა კვალიფიციურ ბოროტმოქმედთა ჯგუფი, რადგან ქურდობა ჩადენილი იყო ტექნიკურ საშუალებათა ოსტატური გამოყენებით; ასე, მაგალითად, ერთ შემთხვევაში მოეხერხათ ფანჯრის ჩარჩოზე გაკეთებული რკინის მსხვილი საფარი და სალტეებიდან ჩამოეხსნათ რკინის კარი. გამოირკვა, რომ ყოველივე ამას აკეთებდნენ მეზობლად მდებარე საშუალო სკოლების მოსწავლეები, 14-16 წლის ყმაწვილები — ანატოლ ტკაჩევი, ვალენტინ მაკაროვი და ვლადიმერ გასპაროვი.

ამ მოსწავლეთა დანაშაულის გარკვევის დროს მთავარი იყო საკითხი — რამ განაპირობა მათი საქციელი, რამ დააყენა ისინი დანაშაულის გზაზე.

უშუალო, პირდაპირი მოწმეების გარდა, სასამართლო პროცესზე გამოწვეული იქნენ პედაგოგები, მშობლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და გამოირკვა, რომ ეს ახალგაზრდები სავსებით მოკლებულნი იყვნენ მშობელთა მეთვალყურეობას. სასამართლო დარწმუნდა, რომ ამ მოსწავლეთა დედები არაფრით არ გამოირჩევიან დანარჩენი მშობლებისაგან, მაგრამ მათ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მაინც ვერ შეძლეს ბავშვებისათვის თვალი ედევნებინათ. თავისი როლი იმანაც ითამაშა, რომ ამ ქალებიდან ორი — ქმარმა მიატოვა, ერთ მათგანს კი, თუმცა ჰყავს ქმარი, მაგრამ იგი თვითონ არის საპატრონო და აღსაზრდელი—წყალწაღებული ლოთია და სარგებლობის ნაცვლად ოჯახს მისგან სიმწრის მეტი არაფერი ახსოვს. სამი ბავშვის დედა ფაქტიურად მარტოხელაა, ოჯახში მამაკაცის ტვირთსაც ეწევა და ქალისასაც, მუშაობს, ოჯახსაც უვლის და ასეთ პირობებში მას შვილების აღზრდის და მეთვალყურეობის დრო აღარ რჩება. შედეგი კი ის არის, რომ არასრულწლოვანი ბიჭები, როგორც იტყვიან ხოლმე, ქუჩაში იზრდებოდნენ და ამან მიიყვანა ისინი საბრალდებო სკამამდე.

ეს ასე იყო, მაგრამ ახლა შემდეგ ამბავს დაუკვირდით. სკოლამ და მეზობლებმა იცოდნენ რა ხდებოდა ამ ოჯახებში, იცოდნენ, რომ ბიჭები სრულიად თავიანთ ნებაზე იყვნენ მიშვებულნი და უფროსთა მეთვალყურეობა აკლდათ. მიუხედავად ამისა, ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად აზრიანი ნაბიჯი არავის გადაუდგამს. ვისაც ეს საქმე უშუალოდ ეხებოდა, ფორმალური ღონისძიებით კმაყოფილდებოდა, ხოლო ვისაც ეს „სამსახურით არ ევალებოდა“, ხელსაც არ ანძრევდა. სკოლის წარმომადგენლები სასამართლოში ლაპარაკობდნენ, რომ ამ მოსწავლეებს ყურადღებით ვეპყრობოდით, მათ აღზრდას მეტ დროს ვანდომებდით, ვიდრე სხვების აღზრდას; ვაწყობდით საუბრებს, დამატებით მეცადინეობას, ვხვდებოდით დედებს და ვაფრთხილებდით, მაგრამ ამ ბიჭების გამოსწორებას და აკადემიურად წინ წაწევას არაფერი ეშველაო. მაგრამ მოდი ნუ მოვიტყუებთ თავს: სკოლაში ხომ იცოდნენ, რომ იმ სახლში (პეკინის ქუჩა, № 54), სადაც მაკაროვი და ტკაჩოვი ცხოვრობენ, არანორმალური პირობებია არა მარტო ამ ახალგაზრდების აღზრდისთვის, არამედ საერთოდ სკოლის და სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვისათვის, რომლებიც აქ ცხოვრობენ. ამ სახლის ბევრი მცხოვრები ლოთობს, თამაშობს კარტს, ჩხუბობს, არ ერიდება სხვა ამორალურ საქციელსაც და ყველაფერი ეს მოზარდი თაობის თვალწინ ხდება. სკოლამ ამის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიიღო, არ აცნობა პარტიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, არც მილიციას, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში, ადმინისტრაციული ჩარევით შეეძლო საკითხის მოგვარება.

რა თქმა უნდა, ყველაფერი პედაგოგებს არ უნდა დავაბრალოთ. მათ ბევრი გააკეთეს ტკაჩოვის, მაკაროვის და გასპაროვის აღსაზრდელად. ამ ახალგაზრდებმა ისინი პირდაპირ გააწამეს, მოქანცეს, მაგრამ აქ, რაღაც ზომით, თვითონ მასწავლებლებიც არიან დამნაშავენი. ისინი მარტო საკუთარი თავის იმედით იყვნენ, დროზე არ მიმართეს საზოგადოებრიობას, გამოეთიშენ მას და ამიტომ მათმა შრომამ ფუჭად ჩაიარა.

ყოველივე ეს ერთეული შემთხვევა რომ იყოს, არაფერს ვიტყოდით, მაგრამ იმავე საშუალო სკოლის ცხოვრებაში სხვა ასეთი ამბავიც გვხვდება და ამიტომ გასაგებია, რომ აქ თავის დამშვიდება და ყურის მოყრუება არ შეიძლება. 17 წლის თამაზ ვართანოვმა არასრულწლოვანთა შრომა-გასწორების კოლონიაში ამოჰყო თავი იმისათვის, რომ დანით დასჭრა თანატოლი შავერდოვი; თამაზი ატარებდა ცეცხლმსროლელ იარაღს და ბარამიძისა და ბათუმაშვილის ბინების (მიცკევიჩის ქუჩა) გაქურდვის მონაწილეც გახდა; მასთან ერთად იყვნენ ს. ზაიკა, ვ. პეტროვსკი, ნ. მარტიაშვილი, ი. ზოლოტუხინი და ს. ტარზიანი. ესენი, უმთავრესად, 16 წლის ბიჭები არიან, ორი მათგანი კი დანაშაულის ჩადენის შემდეგ გახდნენ 15-15 წლისა. ქურდობის მომწყობი და თაოსანი იყო საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ს. ზაიკა. აღსანიშნავია, რომ ამ არასრულწლოვან ქურდებს, ყოველ შემთხვევაში, მათს უმრავლესობას, ისეთივე არასახარბიელო მდგომარეობა აქვთ ოჯახში, როგორც ტკაჩოვს, მაკაროვს და გასპაროვს. პეტროვსკის მამა ლოთია და შვილების აღზრდაზე არ ზრუნავს; ზაიკას დედა ქმარს გაშორებულია, ტაქსომოტორების გარაჟში მუშაობს მანქანების მრეცხავად, ზოგჯერ ღამ-ღამობით მორიგეობა უხდება და ბავშვები უმეთვალყურეოდ არიან; ვართანოვის უფროსი ძმა ქურდობისათვის ციხეში ზის, ხოლო დედა შვილების დანაშაულს ცელქობად სთვლის და მათი აღზრდის ნაცვლად ბრალსა სდებს მილიციის და პროკურატურის მუშაკებს, რომლებმაც დაიჭირეს მისი შვილები, ბრალსა სდებს დაზარალებულებს, რომლებმაც თურმე „თავის ქონებას ვერ მოუარეს“ და ა. შ.

ვფიქრობთ, სურათი ნათელია, გასაგებია, თუ რატომ აღმოჩნდნენ ეს მოსწავლეები საბრალდებო სკამზე. საქმეც სწორედ ის არის, რომ დანაშაულის ჩადენის მიზეზები ბევრად ადრე იყო ცნობილი, ვიდრე მათ გამორკვევას საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები შეუდგებოდნენ. ზაიკა კლასიდან კლასში გადასვლის დროს რამდენჯერმე დარჩა, სხვა ახალგაზრდებიც სწავლაში ჩამორჩებოდნენ. სკოლა და განათლების ორგანოები ვალდებული იყვნენ დროზე აეტეხათ განგაში და, თუ საჭიროდ დაინახავდნენ, აღეძრათ საკითხი, რათა ცალკეული პიროვნებებისათვის მშობლის უფლებები ჩამოერთმიათ და ბავშვების მეურვეობა სახელმწიფოსათვის გადაეცათ.

არის შემთხვევები, როდესაც მშობლები ხელს აფარებენ შვილის ამორალურ საქციელს, ხოლო სკოლას, პედაგოგებს სიმართლეს არ ეუბნებიან. ამას იმით ხსნიან, რომ უნდათ თვითონ გამოასწორონ თავიანთი შვილები. როდესაც მშობლებს ამის ძალა შესწევთ, შეიძლება ეს მოსაწონიც იყოს, მაგრამ პატივმოყვარეობის შედეგად შვილის ცუდი საქციელის სისტემატური დამალვა — ბოროტებაა და მას, როგორც წესი, მძიმე შედეგები მოსდევს. სწორედ ასე დაემართა პეტრე თავგაზოვს. იგი ამჩნევდა, რომ მისი შვილი სერგო ცუდად სწავლობდა, შინ მოსვლას აგვიანებდა და ზოგჯერ ნასვამიც კი მოდიოდა. მშობლებმა დახმარებისათვის არავის არ მიმართეს და ყველაზე უკეთეს საშუალებად ის მიიჩნიეს, რომ ბიჭს ყოველ ნაბიჯზე თვალყურის დევნება დაუწყეს. პეტრე თავგაზოვი ყოველი გაკვეთილის დაწყებისა და დამთავრების დროს სკოლაში ცხადდებოდა და ამოწმებდა მისი შვილი კლასში იყო თუ არა. ასეთმა „აღმზრდელობითმა“ მეთოდმა შედეგი ვერ გამოიღო. იგი შეურაცხმყოფელიც კი შეიქმნა ახალგაზრდისათვის და მან სკოლა სრულიად მიატოვა. შემდეგ კი მოხდა ის, რომ სერგომ ირგვლივ შემოიკრიბა მასავით გზასაცდენილი ახალგაზრდები და მათთან ერთად მაღაზიების გატეხვას და მოქალაქეების ძარცვას მიჰყო ხელი.

კიდევ ერთი მაგალითი:

რომან ჯიქია 20 ივლისს თექვსმეტი წლისა გახდა, ხოლო 21 ივლისს თავისი ამხანაგი, თხუთმეტი წლის ჯემალ მახარაშვილი, მუცლის არეში დანის დარტყმით, სიცოცხლეს გამოასალმა; ჯიქიამ დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი აზრით თბილისის „დინამოს“ უნდა დაეთმო ქულა ქუთაისის „ტორპედოსათვის“, ხოლო მახარაშვილი უმტკიცებდა საწინააღმდეგოს, — არ უნდა დაეთმო ქულაო, და აი, თექვსმეტი წლის ბიჭმა, დარწმუნების ყველაზე უკეთეს საშუალებად თავისივე ამხანაგის სიცოცხლის მოსპობა ჩასთვალა. ჯიქია მთვრალი იყო, როცა კაცი მოკლა, არაყი ჰქონდა დალეული იმ სასადილოში, რომელიც პეკინის ქუჩაზეა და სადაც მაგარი სასმელები არ იყიდება, მაგრამ არაყის სმას იქ არავინ კრძალავს, თუ მომხმარებელი მას გარედან შეიტანს. პირიქით, მომხმარებელს შეუძლია თავი არც კი შეიწუხოს, მიეცი ცოტაოდენი გასამრჯელო სასადილოს თანამშრომელს და რამდენიც გნებავთ, იმდენ არაყს მოგიტანთ.

ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობი პირობები მრავალია და ყველაფრის ჩამოთვლა თუ დეტალურად განხილვა ერთ წერილში შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე მაინც შევჩერდებით. ვფიქრობთ, ცალკეული კორექტივები სწავლების და აღზრდის პრაქტიკასაც დასჭირდება. პედაგოგიურ მეცნიერებას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. განსაკუთრებით მყარ მეცნიერულ საფუძვლებზე დადგა იგი ჩეხი განმანათლებლის კომენსკის შემდეგ, გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ რუსულმა პედაგოგიურმა სკოლამ უშინსკის და ქართულმა პედაგოგიკამ გოგებაშვილის მეთაურობით. ამ სახელოვან წინაპართა მემკვიდრეობას წარმატებით განამტკიცებენ და ავითარებენ ჩვენი საბჭოთა მეცნიერები; მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს არაერთი ხარვეზი დაჰყვა თან და თუმცა ახლა მათს აღმოფხვრაზე ბევრს ვლაპარაკობთ, პრაქტიკულად ცოტას ვაკეთებთ. ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის აუცილებლობა მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამართლებული მეთოდია და მისი უარყოფა არცერთ ჰკუათმყოფელს არ შეუძლია, მაგრამ თუ ეს მეთოდიკა არასწორად იქნება გამოყენებული, მაშინ მას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია: პედაგოგიკის დარგის ცალკეულმა მუშაკებმა დაივიწყეს, თუ რა ზომით შეიძლება ამ მეთოდიკის გამოყენება და კანონი სკოლისა და ცხოვრების კავშირის შესახებ, არსებითად ახალგაზრდა თაობის აღზრდის საზიანოდ გამოიყენეს. სკოლების პოლიტექნიზაციამ ქალაქად, ხოლო სოფლად მათთვის აგრარული პროფილის მინიჭებამ მოსწავლეთა ისეთი ფიზიკური გადატვირთვა გამოიწვია, რომ ბავშვები, ხშირ შემთხვევებში, ვეღარც სწავლას ასწრებენ და წარმოებასა თუ სოფლის მეურნეობაშიც ბევრს ვერაფერს იძენენ. განა დასაშვებია, რომ 12-14 წლის ბავშვი 5-6 საათი ფიზიკურად ვამუშაოთ და ამდენივე ხანს სკოლაში მერხთან იჯდეს? ასეთი სწავლა-შრომა მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ დაკნინებას იწვევს და ეწინააღმდეგება სწორედ იმას, რაც მეცნიერულად დაამტკიცა და განაზოგადა საბჭოთა პედაგოგიკამ.

აქ კიდევ ერთი რამ უნდა დავუმატოთ: მოგეხსენებათ, ახლა ყველა მშობლის საზრუნავი ის არის, რომ მისი შვილი უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხოს. ამ მიზნით გატაცებულ ზოგიერთ მშობელს, საწარმოო სტაჟის მოსაპოებლად, შვილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან გადაჰყავს მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში. ეს ახალგაზრდები, ხშირ შემთხვევაში, არ მუშაობენ, სწავლაზე გულს იცრუებენ და დანაშაულის გზაზე დგებიან. ვთქვათ, მშობლები ცდებიან, მაგრამ აქ გაკვირვებას იწვევს განათლების ორგანოებისა და ცალკეული სკოლების ხელმძღვანელთა პოზიცია. განა შეიძლება, თუ ეს უკიდურესი აუცილებლობით არ არის გამოწვეული, ახალგაზრდა ადამიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან საღამოს სკოლაში გადავიყვანოთ? რათ უნდა შევუცვალოთ ამ სკოლას პირდაპირი დანიშნულება და რაღაც არაპირდაპირი მიზნებისათვის გამოვიყენოთ?

თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭება ლიტერატურას და ხელოვნებას ახალგაზრდა თაობის კომუნისტურად აღზრდის სფეროში, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ რამეს: ხანდახან წამოვაყენებთ ხოლმე რაიმე დებულებას, ყველანი შევთანხმდებით, რომ ის სავსებით სწორია და მერე დამშვიდებულნი დავიშლებით კრებიდან, წავალთ შინ და უნებურად გვავიწყდება, რომ ცოცხალ საქმედ ვაქციოთ ის ჭეშმარიტებანი, რომლებსაც კრებაზე ასე თავგამოდებით ვიცავდით; ფაქტები გნებავთ? შორს წასვლა არ მოგვიხდება: მკითხველი დამეთანხმება, რომ დღეს ჩვენი გამომცემლობები უშვებენ არაერთ ისეთ წიგნს (და ისიც მეტად დიდი ტირაჟით), რომლებიც ნაცვლად ახალგაზრდა თაობის მორალური და ესთეტიკური აღზრდისა, მათს შეგნებაში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა, უარყოფითად მოქმედებენ ახალგაზრდა ადამიანის სულიერი სამყაროს ფორმირებაზე. აქ ჩვენ, ასე ვთქვათ, „ამერიკის აღმოჩენა“ არ დაგვისახავს მიზნად; დეტექტურ-სათავგადასავლო წიგნებს, რომ ბევრი არასრულწლოვანი დაუყენებიათ დანაშაულის გზაზე იმ მცდარი „გმირობის“ შედეგად, რაც აღწერილია ამ წიგნებში და რაც ახალგაზრდას ყალბ წარმოდგენას აძლევს გმირობაზე, ყოველივე ამის შესახებ წერდა თავის დროზე „მოლოდიოჟ გრუზიი“, წერდა ქართული „ლიტერატურული გაზეთიც“ და შემდეგ ამას გამოეხმაურა ჟურნალი „დრუჟბა ნაროდოვ“.

ასე წამოიჭრა ეს საკითხი ჩვენში და, ეტყობა, ეს ყველგან მომწიფებული იყო. გავიდა ხანი და ჟურნალმა „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტ“ (1958 წ. № 4). იგივე საკითხი წამოჭრა. ჟურნალის ამ ნომერში აღნიშნული იყო:

„ნ. შპანოვის მოთხრობის „უკანასკნელი ბუნაგის“ გამოქვეყნების შემდეგ, ქ. მოსკოვის მილიციის ორგანოებმა დააპატიმრეს ახალგაზრდების ორი ჯგუფი ცეცხლგამძლე სეიფების გატეხვისათვის. გამოძიების პროცესში და სასამართლოზე გამოირკვა, რომ სეიფების გატეხის „იდეა“ და ის თუ როგორ უნდა ყოფილიყო ორგანიზებული ეს დანაშაული, იმავე დროს, ისიც, თუ როგორ უნდა დაეფარათ კვალი, ყველაფერი ეს შეისწავლეს თურმე ამ მოთხრობიდან. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრიდან, — დასძენდა ჟურნალი, — რომ შპანოვის წიგნის კითხვა იყო ერთადერთი მიზეზი დანაშაულის ჩადენისა, მაგრამ ისიც უდაოა, რომ ეს მოთხრობა გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც ხელი შეუწყო ახალგაზრდების სულში დანაშაულის ჩადენის სურვილის წარმოშობას“.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მიზნად არ ვისახავთ საერთოდ უარვყოთ დეტექტური წიგნები, გამოვაცხადოთ „მშრალი კანონი“ ლიტერატურის ამ ჟანრის მიმართ, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გადაჭარბებული დოზებით ღებულობს მხატვრულად დაბალი ხარისხის, ნატურალისტურ, იაფფასიან თავგადასავლებით შეკოწიწებულ „ნაწარმოებებს“, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ მის ფსიქიკაზე. თბილისის რამდენიმე სასკოლო ბიბლიოთეკის შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ეს ბიბლიოთეკები სავსეა ასეთი წიგნებით და ამ ლიტერატურას თვით ბიბლიოთეკის მუშაკები უწევენ პოპულარიზაციას. იგივე კრიმინალურ-დეტექტური სიუჟეტები ფართოდ არის წარმოდგენილი კინოში, თეატრში, ტელევიზიაში და ამ გზით ისინი უფრო მეტ პოპულარიზაციას და გავრცელებას პოულობენ; ისიც აღსანიშნავია, რომ თეატრსა, კინოსა და განსაკუთრებით ტელეეკრანებზე მას ეცნობიან არა მარტო არასრულწლოვანები, არამედ მცირეწლოვანი ბავშვებიც, რომლებსაც კრიმინალური „გმირების“ ქცევანი თავიანთ თამაშობაში გადააქვთ და ჩვენ ხშირად ვუყურებთ ქუჩებში თუ ეზოებში პატარა „ყაჩაღები“ როგორ უღერენ ერთმანეთს ჯოხიდან გათლილ დანებს, „ისვრიან“ ხის პისტოლეტებს და „თოფებს“, „ახრჩობენ“ ერთმანეთს, „ემალებიან მილიციას“ და ა. შ.

დღეს ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, პედიატრიის, ნევროპათოლოგიის და იმ მონათესავე დარგების მეცნიერებათა წინაშე, რომლებიც ახალგაზრდობის აღზრდისა და ფსიქოფიზიკური განვითარების საკითხებზე მუშაობენ, წამოიჭრა ერთი მეტად მტკივნეული პრობლემა. საქმე ის არის, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მოხდა საგრძნობი გათიშვა მოზარდი თაობის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებას შორის. ბავშვის ფიზიკური განვითარება მიმდინარეობს კანონზომიერად, ბუნების კანონებთან შეფარდებით, ხოლო ფსიქიკური განვითარება მას წინ უსწრებს ერთი-ორი წლით, რაც იწვევს ნერვიული სისტემის არანორმალურად დატვირთვას, ხელს უწყობს გაზრდილი ემოციების გამოვლინებას, ასაკთან შეუფერებელ მისწრაფებებს. ფსიქო-ფიზიკური განვითარების არათანმიმდევრული მიმდინარეობა არის ერთ-ერთი პირობა იმ ამორალური გამოვლინებებისა, რაც საგრძნობლად შეიმჩნევა მოზარდი თაობის ცხოვრებაში და მისი შენელების პირობაა იმ ფაქტორების მოსპობა, რომლებიც წინ აღუდგნენ ნორმალური განვითარების კანონებს.

ცხოვრება გვარწმუნებს, რომ ამ ფაქტორების მოსპობა არც ისე ადვილია. დანაშაულისა თუ ამორალური საქციელის გამოვლინების ხელისშემწყობი პირობების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები უნდა იყოს თანმიმდევრული, ინტენსიური. ამავე დროს, ხდებოდეს მეცნიერებისა და ცხოვრების კოორდინაცია და არ უნდა ჩავიკეტოთ ვიწრო უწყებრივ ფარგლებში.

დროა სათანადო სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა უფრო დაბეჯითებით მოჰკიდონ ხელი დანაშაულის ხელისშემწყობი პირობების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების მეცნიერულ კვლევას და მათი აღმოფხვრისათვის დარგობრივ ღონისძიებათა კოორდინაციას.

ვახტანგ ჟვანია





ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო თ ფურცხვანიძისა

## ხომალდ «ამხანაგის» ერთი დღე







ეროვნული ბიბლიოთეკა



იმერლის პორტრეტი



აკაკი ხორავა

# ნიკოლოზ კანდელაკი

აქ გაცოცხლებულან, ენა ამოუდგამთ ქვასა და მარმარილოს, ბრინჯაოსა და თაბაშირს; ისინი ხმამაღლა მეტყველებენ დღევანდელობაზე, ჩვენს ადამიანებზე, ჩვენს ეპოქაზე.

ჩვენ ვიმყოფებით გამოჩენილი მოქანდაკის ნიკოლოზ კანდელაკის სახელოსნოში.

მოქანდაკემ ცხოვრებისა და შემოქმედების ვრცელი გზა გაიარა.

ნიკოლოზ კანდელაკის შემოქმედების საფუძველი — ძველი ქართული ხელოვნების ეროვნული ტრადიციაა; მისი წინაპრები ის დიდოსტატები არიან, რომელთა ქმნილებები უხვად შემოუნახავს ჩვენს ისტორიულ ძეგლებს.

ამასთან, მოქანდაკემ, ჭაბუკობის წლებშივე გაიცნო და ღრმად შეისწავლა ყოველივე საუკეთესო, რაც კი მსოფლიოს გამოჩენილ ოსტატებს შეუქმნიათ.

ნიკოლოზ კანდელაკი ლენინგრადის სამხატვრო აკადემიამ აღზარდა. ეს ქალაქი მის წინაშე წარმოსდგა, როგორც ხელოვნების დიდი მუზეუმი თავისი მრავალრიცხოვანი ქანდაკებებითა და არქიტექტურული ანსამბლებით. ის ხშირი სტუმარი იყო ერმიტაჟის, საათობით იდგა მის დარბაზებში, გულდასმით აკვირდებოდა მრავალრიცხოვან სკულპტურებს, მათს ყოველ დეტალს, შემოქმედის ჩანაფიქრს და მისი განხორციელების ხერხებს.

ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე. 1926 წელს ის მოიწვიეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჯერ უფროს მასწავლებლად, ხოლო 1940 წლიდან — ამავე აკადემიის პროფესორად. მას შემდეგ ნიკოლოზი ერთგულად ემსახურება ქართველი მოქანდაკეების აღზრდის საქმეს.

იაკობ ნიკოლაძესთან ერთად, ნიკოლოზ კანდელაკმა საფუძველი ჩაუყარა და განამტკიცა ახალი ქართული საბჭოთა სკულპტურა.

მოქანდაკე. როგორც თავისი შემოქმედებით. ისე პედაგოგიური მოღვაწეობით ავითარებს ჩვენში არა მარტო ე. წ. მინიატურული პორტრეტის ჟანრს, არამედ ქმნის მონუმენტურ ფიგურებსაც.

ნ. კანდელაკის პირველი ნამუშევრები გამოფენაზე გამოჩნდა 1922 წელს, ის მაშინ ჯერ ისევ სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. 1980 წელს იგი მონაწილეობს ელბაქიძის ძეგლის კონკურსში; აქ მან პირველი პრემია მიიღო. ომის წინა წლებში კანდელაკი ქმნის შესანიშნავ პორტრეტებს ციკლიდან — „რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები". ამ ნამუშევრებს შორის უნდა დავასახელოთ ა. ხორავას, ა. ვასაძის, ლ. გუდიაშვილის, ი. გამრეკელის, ნ. ქუმსიაშვილის და ა. თოიძის პორტრეტები.

სამამულო ომის პერიოდში და მომდევნო წლებში მოქანდაკეს გმირული თემატიკა იტაცებს, ამ წლების ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „მარშა,



აკად. ნ. მუსხელიშვილი

ლი ტოლბუხინი“ და „საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე“ აქ დასახელებულ პირველ ნაწარმოებში ავტორმა გადმოსცა მარშლის შეუდრეკლობა, გმირული სული; ქანდაკების შესრულების მანერა დახვეწილი და ლაკონიურია.

დავით ბაქრაძის პორტრეტში ავტორმა აგვისახა ქართველი ვაჟკაცის სულის სიმხნევე და მისი შემართების ძალა.

მოქანდაკე წლების მანძილზე კვლავ და კვლავ ამდიდრებს ჩვენი ხელოვნების საგანძურს. მისი საყოველთაოდ აღიარებული ნაწარმოებია აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის პორტრეტი. ამ ქანდაკებაში ნათლად ჩანს გამოჩენილი მეცნიერი და გულისხმიერი მკურნალი, რომელსაც თავისი სიცოცხლის მიზნად ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა უქცევია.

მოქანდაკის შესანიშნავ ქმნილებათა რიცხვს ეკუთვნის კინო-მსახიობის ნატო ვაჩნაძის პორტრეტი (თეთრი მარმარილო); მაყურებელს აქ, პირველი შეხედვისთანავე, იპყრობს ნატოს დიდი არტისტიზმი, მისი წარმტაცი და მიმზიდველი სახის ნაკვთები. მარმარილოში ზედმიწევნით ზუსტადაა



ნინო დუმბაძე



გადმოცემული ნატოს სინაზე და კდემამოსილება. მსახიობის ოვალები ცოცხლად მეტყველებენ და თითქოს შუქსა ჰფენენ.

ნატო ვაჩნაძის ეს პორტრეტი ნამდვილი შედევრია, მისი დედანი გამოფენილია ტრეტიაკოვის გალერეაში.

დედააზრით და სკულპტურული შესრულებით მეტად საინტერესოა ნიკოლოზ მუსხელიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი მუხაძის, შალვა დადიანის, დავით ანდღულაძის, ზაქარია ფალიაშვილის, სოსო ასლანიშვილის პორტრეტები. აქ ყველგან იგრძნობა რეალიზმის დიდი ძალა, დიდი ოსტატის ხელი ადამიანური სითბო და სიცოცხლე.

ნიკოლოზ კანდელაკმა შეჰქმნა პორტრეტული ნაწარმოებები თემაზე „სოციალისტური შრომის მოწინავენი“ ამ ციკლიდან ფრიად საინტერესოა „იმერლის პორტრეტი“ და სხვ.

ნ. კანდელაკის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ნინო დუმბაძის სკულპტურული პორტრეტი. რაოდენი სიცოცხლე და მოძრაობა ჩანს აქ, და რა კარგად არის გადმოცემული დაძაბულობა იმ წუთებისა, როცა სპორტსმენი ბადროს სატყორცნელად ემზადება!

ღვაწლმოსილი ქართველი მოქანდაკის შემოქმედებამ დიდად გაამდიდრა და წინ წასწია ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება. ამ დიდი ოსტატის ქმნილებები უნერგავენ ახალგაზრდობას სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარულისა და ჰუმანიზმის კეთილშობილურ გრძნობებს.

სიმონ ნაციაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის პიონერთა სასახლეში

ფოტო თ. არჩვაძისა

**დიმიტრი შანშაშვილი**

თადარიგის ავიაციის გენერალ-მაიორი.





თვალუწვდენელი ტრამალი... პაპანაქება სიცხე... ტრიალ მინდორში საველე აეროდრომი იყო. ირგვლივ არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი. გარშემო, საძამდეც კი თვალი მისწვდებოდა, მომწიფებული ყანების ზღვა იდგა.

შორს, ვოლგის მიდამოებში სოფლებს ალმური ისე მოსდებოდა, თითქოს ცეცხლს ისინი მაღლა ჰაერში აუტაციაო. დონის მხარეს კი შავი კვამლის სვეტები ცას მიბჯენოდნენ. იწვოდნენ ქალაქები და სოფლები, იწვოდა შემოსული ხორბლის ყანები. შემზარავი ხანძარი სულ უფრო ახლოვდებოდა. სალამოობით მკაფიოდ გაისმოდა ზარბაზნების ქუხილი, დღის სიცხეში კი ადამიანს ეგონებოდა მიწისქვეშიდან ისმისო ყრუ გუგუნი.

პოლკი სტალინგრადის შორეულ მისადგომებთან იდგა, ჯერ ბრძოლებში არ მონაწილეობდა.

ნიკოლოზ აბრამიშვილი საჰაერო ბრძოლებში გამოცდილი მფრინავი იყო. შარშან ცენტრალურ ფრონტზე იბრძოდა, დაიჭრა და ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ, 1941 წლის დეკემბერში იმ პოლკში მოხვდა, რომელსაც მეშკოვი მეთაურობდა.

სიცოცხლით სავსე, ხალისიანი და მხიარული, კარგი მომღერალი და მოცეკვავე, თანაც უმაღლესი პილოტაჟისა და საჰაერო სროლის შეუდარებელი ოსტატი, ახალდაბელი ჭაბუკი სულ მალე ყველას შეუყვარდა. ნიკოლოზი დაუზარებლად და სიხარულით უზიარებდა ამხანაგებს თავის საბრძოლო გამოცდილებას. თავისუფალ დროს რომ მოიხელთებდა, აიღებდა ბალალაიკას,ააჟღერებდა ფანდურის ყაიდაზე და ქართულ ხალხურ სიმღერებს ღიღინებდა.

ბოლოს ფრონტი მთლად მოახლოვდა და მეშკოვის პოლკიც ჩაება ბრძოლებში. მფრინავები დღეში ხუთ-ექვს საბრძოლო გაფრენაში მონაწილეობდნენ. გვიან სალამოს კი, ბრძოლებით დაღლილ-დაქანცულნი, საშინელი სიცხით ილაჯგაწყვეტილნი მძიმედ მიალაჯებდნენ კარვებისაკენ. იფიქრებდი ახლა სიმღერის გული ვილას აქვსო, მაგრამ კომისარი მაინც ჩუმათ ჩაულაპარაკებდა აბრამიშვილს:

— ნიკოლოზ, ხედავ, ბიჭებმა თავები ჩაქინდრეს?

— ახლავე, ამხანაგო კომისარო! — მიუხვდებოდა ნიკოლოზი წადილს. სახეზე წყალს გადაივლებდა და ბალალაიკას ააჟღერებდა. ორიოდე წუთის შემდეგ სალამოს ნიავი ტრამალებში აფრქვევდა „ციცინათელას“, მფრინავებს ხალისი ემატებოდათ.

ჩვენი ნაწილები მძიმე ბრძოლებით იხევდნენ უკან, ვოლგისაკენ. მეშკოვის პოლკი მდინარის მარცხენა ნაპირზე გადაიყვანეს. საჰაერო ბრძოლები სტალინგრადის თავზე გაჩაღდა. აბრამიშვილი კარგად იცნობდა ქალაქს, რამდენიმე თვის განმავლობაში ხომ სტალინგრადის საავიაციო სკოლაში სწავლობდა. ნიკოლოზმა და მისმა ამხანაგებმა მტკიცედ იცოდნენ, რომ რუსეთი დიდია. მაგრამ უკან ერთი ნაბიჯის დახევაც აღარ შეიძლებოდა. ამიტომაც იბრძოდნენ ასე თავგანწირვით. საფრონტო გაზეთი „სტალნიე კრილია“ იმ დღეებში წერდა:

„ესკადრილიის მფრინავებმა ათი დღის განმავლობაში ჩამოაგდეს მტრის თხუთმეტი თვითმფრინავი ინდივიდუალური და ცამეტი — ჯგუფური ცეცხლით. ამას გარდა, მათ მოსპეს თორმეტი თვითმფრინავი მტრის აეროდრომზე. აბრამიშვილმა და იაცენკომ ფაშისტების შვიდ-შვიდი მანქანა ჩამოაგდეს“.

გმირი ქალაქი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ მტერს არ ნებდებოდა. და აი დადგა ისტორიული მომენტიც: 1942 წლის 19 ნოემბერს ჩვენი მამაცი ჯარები თვითონ გადავიდნენ შეტევაზე და პაულიუსის სამასათასიან არმიას ალყა შემოარტყეს.

აბრამიშვილსა და მის ამხანაგებს ახალი საქმე გამოუჩნდა — ბრძოლა ჰიტლერელების სატრანსპორტო ავიაციასთან. ფაშისტები ცდილობდნენ ალყაში მოქცეული არმია, საჰაერო გზით მოემარაგებინათ სურსათით და იარაღით; იმ დღეებში აბრამიშვილმა და მისმა მეგობრებმა ბევრ ჰიტლერელ მფრინავს დაუბნელეს მზე. ერთ ბრძოლაში ნიკოლოზი ფეხში დაიჭრა, ბევრი სისხლი დალვარა, ვიდრე თავის „ლაგს“ აეროდრომზე მოიყვანდა. კაბინიდან კი ველარ ამოვიდა, ამხანაგებმა ამოიყვანეს. მამაცმა მფრინავმა ჰოსპიტალში წასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა. დილიდან სალამომდე ფეხშეხვეული, ყავარჯნით ხელში აეროდრომზე დაკინკილებდა: გააცილებდა ესკადრილიას და მერე მოუსვენარი თვალებით გასცქეროდა ცას მეგობრების მოლოდინში, ხოლო როცა დაბრუნდებოდნენ, სათითაოდ ჰკითხავდა დაწვრილებით, რა გააკეთეს, სად იყვნენ, ვის შეხვდნენ, როგორ ჩაიარა ბრძოლამ, რა შენიშნეს ახალი ქვეითი ჯარების ბრძოლებში... ამხნევებდა, თან თავსაც ინუგეშებდა, ხვალ თუ ზეგ მეც ამოგიდგებით მხარშიო.

ოცდაათ ნოემბრის დილას აბრამიშვილის მეგობარი კაპიტანი ჟუკოვსკი მტრის დასაზვერად გაფრინდა და მალე რადიოთი მოახსენა შტაბს: მოწინაალმდეგის აეროდრომზე ეშვება სატრანსპორტო თვითმფრინავთა დიდი ჯგუფი, მას მრავალი „მესერშმიტი“ იცავსო.

პოლკი დაუყოვნებლივ გაეშურა მტერთან შესახვედრად.

მეშკოვმა ამჯერად ველარ გაუძლო აბრამიშვილის ვედრებას და გაფრენის ნება მისცა.

ამ აეროდრომს ჰიტლერელები განუწყვეტლივ იცავდნენ ჰაერიდან, საზენიტო ქვემეხებიც ბლომათ მოეგროვებინათ.

უკვე ორი კვირა იყო გასული, რაც აბრამიშვილი ჰაერში არ აფრენილიყო. ბრძოლებს მოწყურებულმა მედგრად შეუტია მტერს. პირველივე დარტყმით ორი „მესერი“ ააფეთქეს. ერთი აბრამიშვილმა, მეორე რგოლის მეთაურმა ნოვოჟილოვმა. ბრძოლა კი სულ უფრო ჩაღდებოდა. ნიკოლოზი იქით მიიჩქაროდა, სადაც მეტი მტერი იყო. იგი ყველაფერს ხედავდა, აფრთხილებდა ხელქვეითებს მტერი გიახლოვდებათო; გაცხარებულ ბრძოლაში ჭრილობა გაეხსნა, სისხლმა დაიწყო დენა, ტკივილმა უმატა. ის კი ყურადღებას არ აქცევდა. აგერ, ერთი გერმანელი კიდევ დაეშვა მიწისკენ. ერთი ჩვენი მფრინავიც დაიჭრა, ბრძოლიდან გამოვიდა და აეროდრომისაკენ აიღო გეზი. დაბლა ჩვენი მოიერიშე „ილიუშინები“ დაფრინავდნენ, აეროდრომზე სატრანსპორტო „იუნკერსები“ ცეცხლის ალს მოეცვა, გაოგნებული ფაშისტები შეშლილებივით წარამარა წინ და უკან დარბოდნენ, თავის შესაფარი კი არსად ჩანდა. მოიერიშეებმა მოათავეს საქმე, საბრძოლო ამოცანა შეასრულეს და თავის აეროდრომისაკენ აიღეს გეზი.

ამ დროს ჩვენს მოიერიშეს ცეცხლი გაუჩნდა, მარჯვენა ფრთაზე გადაიხარა და აეროდრომის განაპირას დავარდა. ჰაერში უმალ შავი კვამლის ბოლქვი ავარდა.

აბრამიშვილს გული შეეკუმშა, ერთ წამს თვალები დახუჭა. მერე ისევ ცას ახედა. მესამე რგოლი ვაჟკაცურად შერკინებოდა ექვს მესერს. მეორე რგოლი მესამეს მისახმარებლად მიიჩქაროდა. მას დასარტყმელად ხელსაყრელი პოზიცია ეჭირა. გრძელი ჯერი და მესერი ყირამალა დაეშვა მიწისაკენ.

— ყოჩაღ, განტენკო! — გასძახა აღტაცებულმა ნიკოლოზმა რგოლის მეთაურს. თვითონ მტრის მეორე ჯგუფისკენ მიმართა თავისი „ლაგი“. მან ახლა იგრძნო, რომ ჩექმა სისხლით ევსებოდა. უცებ თავბრუ დაეხვა, ალბათ სულ ორიოდე წამი გავიდა, ვიდრე გონს მოვიდოდა და აი, თვითმფრინავი უკვე მიჰქროდა მტრისკენ. აბრამიშვილმა ძალღონე მოიკრიბა და თავის მფრინავებს მიაძახა:

— ბიჭებო, ერთიც დავცხოთ და მერე შინისაკენ! — მაგრამ ეს არ იყო ესკადრილიის მეთაურის ჩვეულებრივი ომახიანი ხმა. ეს კარგად იგრძნო მისმა „ფარმა“ ნოვოჟილოვმა. ლეიტენანტი უფრო ახლოს მივიდა კაპიტანთან, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა.

— ალბათ მომეჩვენა, — გაიფიქრა ნოვოჟილოვმა.

ამასობაში კი ჰიტლერელების ოთხეული სწრაფად ახლოვდებოდა, ახლა მოპირისპირეებს სამასიოდე მეტრი აშორებდა ერთმანეთისაგან. პირველად გერმანელებმა გახსნეს ცეცხლი. ახლა აბრამიშვილმა უპასუხა. წამყვანი მესერი შეზანზარდა და უწესრიგოდ დაიწყო ვარდნა. ნოვოჟილოვმა სიხარულით დაიყვირა:

— არის კიდევ ერთი!

აბრამიშვილმა ეს მეთორმეტე ძერა დაამხო ვოლგის ნაპირებზე.

ნოვოჟილოვმა უცებ მესერების ახალი რგოლი დაინახა, მათ ზევიდან რომ ეპარებოდათ.

— ამხანაგო კაპიტანო, უკანიდან მესერები გვიტევენ! — სწრაფად მოახსენა კაპიტანს.

აბრამიშვილმა ყურადღება ველარ მიაქცია ნოვოჟილოვის გაფრთხილებას. სისხლისაგან დაცლილს კვლავ თავბრუ დაესხა, ამჯერად უფრო ხანგრძლივად. თვითმფრინავმა წონასწორობა დაკარგა. ნოვოჟილოვმა მარტოლა მიაგება მტერს თავისი მანქანა, თან მთელი ძალით საშინლად დაიღრიალა:

— ამხანაგო კაპიტანო, მტერია ზურგიდან!

მაგრამ უკვე გვიან იყო. ჰიტლერელებმა მოასწრეს, აბრამიშვილის თვითმფრინავი ცეცხლის ალში გაეხვია და მიწისაკენ დაეშვა.

ასე დაიღუპა სტალინგრადის ფრონტის ერთ-ერთი საუკეთესო მფრინავი ნიკოლოზ გიორგის ძე აბრამიშვილი.

მაგრამ სიკვდილი ვერასოდეს ვერ მოერევა მამაცთა სახელს.

ვის არ წაუკითხავს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ან „მე ვხედავ მზეს“. სცენამ და ეკრანმა ხომ კიდევ უფრო პოპულარული გახადეს სოფლელი ბიჭები — ზურიკელა და სოსოია, სათნო გოგონები — მერი და ხატია.

ახლა მათი სახელები შორს არის გასული, მათ იცნობს მთელი საბჭოთა კავშირი; თავიანთი სულიერი სიფაქიზით,ეროვნული ხალხური კოლორიტითა და უშუალობით მათ მოხიბლეს მკითხველიცა და მაყურებელიც.

ნოდარ დუმბაძის გმირებზე თანაბარი აღტაცებით საუბრობენ დღეს პროფესორებიც და სტუდენტებიც, ქარხნის მუშებიც და კოლმეურნეებიც. ამ სიყვარულს ერთვის ყოველთვის მადლიერების გრძნობა ავტორის მიმართ, რომელმაც ესოდენი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა მათ.

ნოდარ დუმბაძის ზემოხსენებული რომანები — ახალი ქართული საბჭოთა პროზის შესანიშნავი ქმნილებებია, რომელთაც კარგად გამოხატეს ჩვენი ხალხის სულიერი კეთილშობილება და სიცოცხლის ჩაუქრობელი ხალისი.



ამ ფოტოს რომ დახედავთ, სულაც არ იფიქრებთ, რომ ნოდარ დუმბაძე სიცილთან მწყრალად არის. ამ კაცს სიცილისა და იუმორის გარეშე ისევე არ შეუძლია არსებობა, როგორც თევზს უწყლოდ და ადამიანს უჰაეროდ.

მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს; აი, ნოდარ დუმბაძე, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი — თავის კაბინეტშია. სარედაქციო კოლეგია შეკრებილა და ახალი ნომრის მასალებს იხილავენ.

— სერიოზულად, სერიოზულად დაიჭირეთ თავი, ვილებ სურათს — ბრაზობს ოთარ თურქია.

კოლეგიის წევრები კი მაინც სიცილით იხოცებიან, ისე მოსწონთ თავიანთი ჟურნალი — ღიმება ძია სერგოსაც (ს. კლდიაშვილი, მარცხნიდან პირველი. ის ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ძველი წევრია), გულიანად ხარხარებს გიგლა ფირცხალავა, იცინიან ზაურ ბოლქვაძე, გიზო ნიშნიანიძე და დონი (დავით ნაცვლიშვილი).

— სერიოზულად... ვილებ! — ისმის ისევ თურქიას ხმა.

ფოტო ლ. თურქიასი

# მე ვხედავ ნიანგს



ნოდარ დუმბაძე ზოოპარკის ხშირი სტუმარია. პატარა ქეთინოს აინტერესებს ნახოს ნიანგი. სახლში სულ ეს სიტყვა ესმის და ქუჩაშიც ბევრჯერ გაუგონია, რომ მამიკოს ნიანგს ეძახიან.

— მამი, ესა ხარ შენ? — გაოცებული კითხულობს ის და ელის სერიოზულ პასუხს.

— არა შვილო, მე მაგის რედაქტორი ვარ — ისევ ხუმრობის ხასიათზეა ნოდარი.

ამ ფოტოზე ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მკაცრი და სერიოზულია ნოდარ დუმბაძე, როცა ის საწერ მაგიდას უზის. როცა ნოდარი ახალ რომანს წერს, ყველანი აქ უნდა იყვნენ, მანანა ცალი თვალით უნდა იჭვრიტებოდეს ნაწერში, ქეთინო ქოჩორს უნდა უწეწავდეს მამას, ტელევიზორი უნდა ღრიალებდეს, რადიო ჩართული უნდა იყოს და მაცივრის ხრიალიც უნდა ისმოდეს. თურმე ასეთ დროს იბადებიან მწერლის თავში ყველაზე წარმტაცი სახეები.



## ინტერვიუ საჩქარო

### ნოდარ დუმბაძე

**კითხვა** — ამბობენ ახალ რომანს წერსო, მართალია?

**პასუხი** — ვწერ კი არა, დავამთავრე.

**კითხვა** — რა ჰქვია?

**პასუხი** — ვიცი და არ ვამბობ?

**კითხვა** — მაინც?

**პასუხი** — ჯერჯერობით „მზიანი ღამე“ დავარქვი.

**კითხვა** — კარგია?

**პასუხი** — მაგი შენთვის უნდა მეკითხა და აქით მეკითხები?

**კითხვა** — რამდენი ხანია წერ?

**პასუხი** — იანვარს რომ გადამეცილებია, სამი წელი იქნებოდა.

**კითხვა** — რა უფრო ადვილი დასაწერია — იუმორისტული მოთხრობა თუ რომანი?

**პასუხი** — ორივე ადვილი დასაწერია, თუ იცი რას წერ.

**კითხვა** — თუ ასეა, რაღად მოუნდი ორწელნახევარი წერას?

**პასუხი** — ორ წელს იმას ვფიქრობდი, თუ რა დამეწერა.

**კითხვა** — გეშინია?

**პასუხი** — არასოდეს ასე არ მშინებია.

**კითხვა** — ყველაზე უფრო ვისი გეშინია?

**პასუხი** — შინაურების.

**კითხვა** — რატომ?

**პასუხი** — შინაურებს ვერ მოატყუებ — კარგი ადგილები რედაქციაში ამომიშალესო, — ყველაფერი დედანში აქვთ წაკითხული.

**კითხვა** — თუ გეხმარებოდა ვინმე წერაში?

**პასუხი** — რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, კინორეჟისორი თამაზ მელიავა, ჩემი მეუღლე და ხუთი წლის ქალიშვილი ქეთინო.

**კითხვა** — რაში გამოიხატებოდა მათი დახმარება?

**პასუხი** — პირველი ორი ყოველდღე მირეკავდა, — რას შვრები, შენ გელოდებითო. მეუღლე მუშაობის წინ მაგარ ყავას მასმევდა, წერის დროს არ დაეძინოსო, ქეთინო კი, ჩემი გამოლამებული თვალების შემყურე, გულაჩუყებული მეუბნებოდა: შენ დაწექი მამიკო, ახლა მე დავწერო, — ასე, რომ პატარ-პატარა წვლილი ყველას მიუძღვის.

**კითხვა** — ბედნიერების აპოთეოზს შემოქმედებითი პროცესის რა მომენტში აღწევ?

**პასუხი** — ბედნიერებისა და უბედურების აპოთეოზი სწორედ შემოქმედებითი პროცესის დასრულების შემდეგ იწყება.

**კითხვა** — ახლა, ვიდრე რომანი დაიბეჭდებოდეს, რა მდგომარეობაში ხარ?

**პასუხი** — მოლარეს რომ ეუბნებიან ხურდა დამიბრუნეო და თავს რომ იყრუებს.

**კითხვა** — ახლა თუ წერ რამეს?

**პასუხი** — ჯერ არა, ახლა ისე ვგრძნობ თავს, როგორც წისქვილის კოდში გადამხობილი და დაფერთხილი ტომარა.

**კითხვა** — საერთოდ თუ აპირებ კიდევ რამის დაწერას?

**პასუხი** — აბა შენ არჩენ ჩემს ცოლშვილს?

**ჭვიბე** — აღარ მაქვს შეკითხვები!

**ნოდარი** — აგაშენა ღმერთმა!

# ყოფაქცევაში — ნული

### ლუის აგუიერო

ლუის აგუიერო — ახალგაზრდა კუბელი მწერალია. ამჟამად 28 წლისაა. 24 წლისა იყო, როცა გამოსცა პირველი წიგნი — „De aqui para alla“ — „აქედან იქამდე“, ჰავანა, 1962 წ. მოთხრობა „ყოფაქცევაში — ნული“ აღებულია ამ წიგნიდან. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში შესვლა უნდოდა, მაგრამ ბატისტას დიქტატურულმა რეჟიმმა გზა დაუხშო უმაღლესი სასწავლებლისაკენ. რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მუშაობს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლად.

მაგიდაზე დევს წიგნი „ფიზიკა“ დე ზრანი, ესაა დიდი, სქელტანიანი, დიდებული წიგნი. მე დავიხარე, რომ მისთვის ცერად გამეხედა, მაგიდის ზედაპირის გასწვრივ; მერე წელში გავიმართე, რათა წიგნი ზემოდან დამენახა და იმ წამსვე თვალი მოვკარი იმ პატარა ურჩხულებს, რომლებსაც პრიზმებს ეძახიან. მაშინ ხელის ერთი მოქნევით დავხურე წიგნი. დიდხანს ვიდექი ასე...

უკვე სამი საათია. ხაცაა დედაჩემი შემოვა და შემოიტანს საუზმეს: შესქელებული რძით სავსე ვეებერთელა ტოლჩას და ბუტერბროდს — ყვითელი ყველით და გუაიავას პასტით რომ არის დამზადებული. ესაა ერთადერთი რამ, ცოტათი რომ მიხსნის მადას ამ საშინელი გამოცდების დროს (თუმცა მაინც და მაინც დიდი მადა მე არასოდეს არ მქონია).

დერეფნიდან უკვე მესმის დედის ფეხის ხმა, სწრაფად ვშლი წიგნს, ვიწყებ პრიზმების ხატვას და რაღაც ციფრების გამოყვანას დაფაზე. მაშინვე მახსენდება თუ რა უზომო სიამაყითეუბნება ხოლმე დედაჩემი ყველას, რომ მე, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნების ჩაბარებისას, კერძო მასწავლებელი არ მჭირდება. ვფიქრობ: შეიძლება ამ წყეული ფიზიკის ჩაბარებისას ასე არ მოხდეს.

— ძნელი საგანია? — მეკითხება დედა.

— ცოტაოდნავ — ვუპასუხებ მე.

სანამ საუზმით ვარ გართული, ვუყურებ ეზოს. ყველაზე მეტად ეს ეზო მომწონს; იქ, უკან, ეზოს სიღრმეში, მამაჩემმა ააგო ორი პაწია ხუხულა, მასში უწყვია თავისი ხელსაწყო-იარაღები. მამა კბილის ექიმი გახლავთ, მაგრამ მე აქ ვგულისხმობ სხვა ხელსაწყოებს — ხერხს, წნეხს და ოციოდე ასეთსავე ინსტრუმენტს (არც კი ვიცი, რატომ მიტრიალებს თავში ყოველთვის აზრი, რომ მამაჩემს არც ისე ეჰაშნიკება პირში ხელებს რომ უყოფს ადამიანებს). გამოდის, რომ ჩემი მამა ხელოსანია...

პირველი ხუხულის ლაფართხთან დევს გუაიავას ხის მორი, რომელიც მამაჩემმა მოაჭრევინა, რადგანაც, როგორც ამბობდა, ხის ფესვები იატაკს ზევით სწევენო. კარგად მახსოვს, თუ როგორ ტიროდნენ დედაჩემი და ჩემი და, როცა ხესთან მივიდა პლაციდო, ხელში ნაჯახითა და ხერხით.

მეორე მხარეზე, საბანაოს გვერდით მოსჩანს მოცხარის ბუჩქი. აგერ ერთი ხვლიკი გამოძვრა ხის მორიდან, ხვლიკი მწვანე იყო, მერე ყოლოხფერი გახდა, ბოლოს კი გაყვითლდა.

საუზმეს მოვრჩი და ვფიქრობ: რა გაეწყობა, კვლავ უნდა დავუბრუნდე მეცადინეობას, ოღონდ ესაა, ვერ გამიგია: რისთვის არის აუცილებელი, რომ მომავალ ვექილს კიდევ უფრო გაურთულონ ცხოვრება ამ პრიზმებით. რამდენი ხანია ეს საძულველი წიგნი მიდევს თვალწინ...

მეისვე, — რათა არ გადამეფიქრა, — დავხურე წიგნი და გავედი ოთახიდან, ძალიან ფრთხილად გავედი — მეშინია დედამ არ გაიგონოს. პარკისაკენ გავემართე, არ ვიცი რატომ: ბალები მაინც და მაინც არასდროს არ მიზიდავდნენ.

აქედან ჩემი სახლი მოჩანს, როგორც სათამაშო ციხე-კოშკი. წარმოვიდგინე, რომ ხუროთმოძღვარი, რომელმაც ეს სახლი ააშენა, ნახევარად შეშლილი ვინმე იყო: ყველა სტილი იცოდა, მაგრამ ეტყობა არცერთი არ მოსწონდა; მე კი მომწონს ორი დაფნის ხე, ორივე მრგვალი და კარგად გაშლილი, შესასვლელთან რომ დგანან და მომწონს აგრეთვე პატარა კიბე, წითელი მოზაიკით, რომელზედაც ერთხელ ცხვირ-პირი დავიმტვრიე.

ბაბუამ მითხრა, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც ნამდვილი დემოკრატია სუფევს — ეს არისო პარკი. იქნებ ეს სწორი არ იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ბაბუას ამ სიტყვების შემდეგ პარკში უფრო თავისუფლად ვგრძენი თავი. დავჯექი ერთ პატარა ხის სკამზე, უზარმაზარი ძეგლის გვერდით და სახეზე დამიბერა გრილმა და მეტად სასიამო სიომ. იქით, პარკის ცენტრში, გამშრალ წყაროსთან დგას ვეებერთელა ცეიბას ხე, მაგარი და ვაჟკაცური. მის უკან დგანან მაღალი და სწორი ფიჭვის ხეები. კიდევ უფრო უკან დგას

ნუშის ხე, რომლის სურნელება ჩემამდისაც აღწევს. ყოველივე ეს მე მომწონს, გაცილებით უფრო მეტად მომწონს, ვიდრე ფიზიკა, უფრო მეტად, ვიდრე ზოილა.

საწყალი ზოილა — როგორი მახინჯი, სუსტი და აწოწილია! რატომღაც სწორედ ამ წუთს გამახსენდა, თუ როგორ ვნახე ის პირველად. იმ დროიდან (თუმცა მას შემდეგ მე ერთხელაც არ გადამიკითხავს ბორჯესი) ზეპირად მახსოვს A Bao A Qu შესანიშნავად მახსოვს, როგორ უბრწყინავდა მას თვალები. თითქოს მარტო ჩემთან ყოფნა ჩაჰბერავდა სიცოცხლეს. ეს მე მომწონდა. აი, სწორედ ამ მოგონებისას ისიც გამოჩნდა:

არის რაღაც სასწაულებრივად დაუჯერებელი და გამოუთქმელი მის სიარულში თითქოს მისთვის არაფერია რომ ყვითელი და ჰუჰყიანი თმები ჩამოეშლება და წამდაუწუმ მათ თავიანთ ადგილას აბრუნებს თავისი გრძელი და თეთრი ხელებით ქვევით რომ აქვს დაშვებული თეთრი ბლუზის გასწვრივ და მისი პატარა ძუძუები ზევით და ქვევით იწევიან მისი მეტად არაპროპორციულად პატარა ფეხების აწევასა და დაწევასთან ერთად ფართო და ნათელი ცოტაოდნავ გამოზნექილი შუბლი აქვს ბარძაყების კონტურები მკაფიოდ შეიმჩნევა მის ფართო შავ ქვედატანში, რომელიც ნაბიჯების გადადგმის დროს თითქოს ეწებება მის მაგარ სხეულს მსგავსად თაფლნარევ კარამელზე შემოხვეულ ქაღალდისა ნიკაპი ისე აქვს გამოწეული თითქოს მოკვნეტას ითხოვდეს თითქოს მისთვის არაფერია ასეთი განსაკუთრებული სიარული რომელიც სასწაულებრივად დაუჯერებელი და აუწერელია.

მე ავდექი და გავყევი მას უკან და მანამდე არ მოვცილდი, სანამ არ გაჩერდა, პირი ჩემკენ შემოაბრუნა და გამიღიმა. მე ის ძალიან მომეწონა, როცა გაიღიმა, — ღიმილის დროს ლოყები ევსება და თვალები თითქმის იძირებიან.

— შეუძლებელია, — მეუბნება, — მე დანიშნული მყავს.

ვამჩნევ, რომ მისი სხეულის ცალ-ცალკე აღებულ ნაკვთებში მოსაწონი თითქმის არაფერია, მაგრამ მთლიანად მისი აღნაგობა ნამდვილად მომხიბვლელია.

— ეგ არაფერია, — ვეუბნები, — მეც მყავს.

იცინის.

ნებადაურთველად ვტაცე ხელი მის წიგნებს, ახლა უკვე ერთად მივდივართ, ჩუმად. დრო და დრო მხოლოდ ჩვენი თვალები ხვდებიან ერთიმეორეს.

— მოდი, დავსხდეთ! — ვეუბნები მე.

— არ შეიძლება.

— სულ ერთი წუთი, მეტი არა.

ვკიდებ მას ხელს, წინააღმდეგობას არ მიწევს. დავსხედით, მე ისევ შევცქერი მას. ასე ვართ რამდენიმე წუთს. არა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი მაქვს, პირიქით. მაგრამ, რატომღაც, მირჩევნია მხოლოდ ვუცქირო.

— რა ჰქვია შენს დანიშნულს? — ვეკითხები მე.

— ფერნანდო — მპასუხობს იგი.

— არაა მაინცდამაინც კარგი სახელი.

— შენი სახელი?

— ჩემი? მე კალიკსტროს მეძახიან.

— მე მომწონს...

მოვინდომე ხელზე ხელი წამეტანებია, უკუაგდო ჩემი ხელი.

— მარტო სახელი, მეტი არაფერი.

— ალბათ შენ მელიბეი გქვია — ვეუბნები მე.

— როგორ?

— არაფერი.

— რაღაც რომ თქვი?

— რა და... სად არის შენი დანიშნული?

— ფლორიდაში.

— რას აკეთებს იქ?

— სწავლობს ავიაციას.

— სასაცილოა.

— შენ რას სწავლობ?

— მე...

გავიფიქრე, რომ ბაკალავრობა კიდევ უფრო სასაცილოა.

— ლექსებს ვწერ! — ვეუბნები.

მაშინ რაღაც ბუნდოვნად, ხანგრძლივად და გაურკვევლად გამომხედა, მომიახლოვდა საზეიმო იერით და მაკოცა. მოვინდომე ხელები მომეხვია, მაგრამ ამაოდ.

— დაწერ ერთ ლექსს მაინც ჩემთვის?

— ყველა ლექსს ვწერ მხოლოდ შენთვის.

მაშინ ადგა, ცოტა ხანი ისევ მიცქირა და ხელი მომიჰირა.

— რომელი რიცხვია დღეს? — მეკითხება.

— მგონი თექვსმეტია.

— თექვსმეტი აგვისტო! ეს დღე დაუვიწყარია!

ფაქიზად გამომართვა თავისი წიგნები და მეტი არაფერი უთქვამს. დაიძრა აუჩქარებლად, ნაზად და საზეიმოდ. ერთხელაც არ შემოუბრუნებია პირი ჩემკენ.

უკანასკნელად, სანამ საბოლოოდ შთაინთქებოდა პარკის კუთხის მიღმა, თვალი მოვკარი თუ როგორ იელვა ჰაერში მისი ყვითელი და ჰუჰყიანი თმების ერთმა ბლუჯამ.

გიჟივით მოვწყდი ჩემს ადგილს და სირბილით გავექანე სახლისკენ. კართან დედას შევეჩეხე, მე მელოდებოდა. არც კი მიმიქცევია ყურადღება, თუ რას მეუბნებოდა. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ მისი ლაპარაკი ეხებოდა გამოცდას ფიზიკაში, რომელიც უახლოეს კვირაში უნდა შემდგარიყო.

ჩავიკეტე ჩემს ოთახში, ავიღე ჩემი უბის წიგნაკი და ფანქარი, ვწერდი, ვშლიდი დაწერილს და კვლავ ვწერდი დაახლოებით ორი საათის განმავლობაში. როგორც იქნა, მოვაცოდვილე ერთი სონეტი, — უთუოდ ცუდი. რა თქმა უნდა, თვითონ მე ის სრულიადაც არ მიმაჩნდა ცუდად.

შემდეგ ავიღე დიდი, სქელტანიანი, დიდებული წიგნი, რომლის გარეკანზე ვკითხულობ: ფიზიკა დე გრან. გვიან ღამემდე ვიმეცადინე, სავსებით და შესანიშნავად გავიგე პრიზმები. მერე, როცა უკვე ძილი მერეოდა, დავხურე წიგნი და გავიფიქრე იმაზე, რაც ამ დღეს გადამხდა.

უგუნური ვარ, კრეტინი, სულელი.

რა ვქენი? არც მისი სახელი ვიცი, არც მისამართი და არც ვარ დარწმუნებული, რომ ნამდვილად მოხდა ყოველივე ის, რაც ამ წუთებში აფორიაქებს ჩემს მეხსიერებას.

ოღონდ ვიცი, რომ მეტს ვერ დავინახავ მას. —

ვერც ხვალ...

ვერც ზეგ...

ვერც მომდევნო თვეს...

ვერც მომდევნო წელს...

ვერასოდეს.

ვხუჭავ თვალებს და ვეღარ ვხედავ მას.

მაშინ გავიფიქრე, რომ დედაჩემს შეუძლია კვლავაც იამაყოს ჩემით: მე მივიღებ ხუთიანს ფიზიკაში. ხუთიანს ფიზიკაში!.. მაგრამ ყოფაქცევაში?

ესპანურიდან თარგმნა ა. ცოტაძემ.

* დედანში ამ ადგილას სასვენი ნიშნები არ არის. მთარგმნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე ისევ გავალ სამგორის გზაზე

## მირონ სურგულაძე

მთვარემ ღრუბლებში ლამე ათია,
თუ დაილალა მიწის ყურებით,
ფიქრი ჩემს გულში არ დაეტია,
ნიავს ხმა მოაქვს სალამურების.

სისხლი ადუღდა,
ძარღვი დაიწნა,
მე ისევ გავალ სამგორის გზაზე,
მინდა კახეთის მზით მეც დავიწვა
და გავითანგო იორთან მზეზე.

შემოდგომაა საოცრად მშვიდი,
მთებს მოხვევია ნისლები თალხი,
პაპამ მოზიდა გორგასლის მშვილდი
და გააგორა იორთან ტახი.

დღე ნელა მიდის როგორც ზღაპარი,
დევის ყბასავით დევს საწნახელი,
დამსუყებული ხუნთქავს მთა-ბარი,
რთველში ტრიალებს ათასი ხელი.

ქვევრიდან ისმის მაჭრის დუღილი,
ქართველი კაცის ღონე და ჯანი,
დაზნექილია ბაღში ხეხილი,
ცაში მიფრინავს წეროთა ჯარი.

# ღამე



## ჯაბუ მებურიშვილი

ეს თეთრი მთვარე,
ეს გრილი ღამე,
მაგონებს ახლა ძვირფას თარიღებს...
ქუჩაში დადის მაისის ქარი
და ულამაზეს სიზმრებს არიგებს.
რეკავს საათი
და ფოთლებივით
ძირს მოცვივიან მკვდარი წუთები...
და როგორც ფიქრი დაფეთებული
ფანჯრებს აწყდება მწვანე თუთები.
და თეთრი შუქის სულში დინება
მაურუოლებს,
სურვილს ვეღარ ვერევი
და ქვაფენილზე ხეთა ჩრდილები
კანკალებს,
როგორც კაცის ნერვები.
თითო-ოროლა მგზავრი აფხიზლებს
ქუჩას, რომელიც ვერასდროს იცლის..
ვიღაც კედლებზე აკრავს აფიშებს —
ხვალინდელი დღის დარდსა და სიცილს.
ახალი მთვარე,
სავსე და სუფთა,
უფრო და უფრო მიიწევს ზემოთ;
ყველა იმედი ხმამაღლა სუნთქავს,
ძილი ნებისა, ქალაქო ჩემო!

# ზღაპრები მოგზაურობენ ქვეყნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ცნობები, რომ ძველად არსებობდა ზღაპრების ჩაწერისა და მცირე კრებულებად შეკინძვის ტრადიცია, მაგრამ არცერთი ასეთი კრებული დღევანდლამდის არ მოღწეულა. ქართული ზღაპრების პირველი ჩანაწერები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის იქით არ მიდიოდა, ეს დაბრკოლება ართულებდა ქართული ზღაპრის ისტორიულ-შედარებითს შესწავლას და მისი მასალების უფრო გაბედულ ჩართვას ზღაპართმცოდნეობის ზოგად სისტემაში.

ამჟამად შეგვიძლია სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ხსენებული დაბრკოლება ნაწილობრივ გადალახულია. ჩვენდა საბედნიეროდ, აღმოჩნდა XVII საუკუნეში ჩაწერილი თუ გადაწერილი ზღაპრების რამდენიმე ნიმუში; სულ აღმოჩენილია 12 ზღაპარი, შეკინძული ერთ კრებულად, რომლის პირი XVII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოდან წაუღია მისიონერ ბერნარდე ნეაპოლელს და მას შემდეგ დაცულია ნეაპოლის (იტალია) არქივში.

ქართული ზღაპრების ამ უძველეს ნიმუშებს პირველად მიაგნო ცნობილმა ისტორიკოსმა მ. თამარაშვილმა, რომელმაც ორი ზღაპარი კიდეც გადმოწერა იტალიის არქივიდან და თავის დროზე, სხვა მასალებთან ერთად, სამშობლოში ჩამოიტანა. ახლა ეს ორი ზღაპარი ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, რის მიხედვითაც განხორციელდა მათი პუბლიკაცია ელ. ვირსალაძის რედაქციითა და გამოკვლევით (1948 წ.).

მთლიანად ზღაპრების ხსენებული კრებულის მიკროფილმები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის მეშვეობით 1957 წელს იტალიიდან მიღებულ იქნა თბილისში და დღეს ხელთა გვაქვს მისი გამოცემა პროფ. მიხ. ჩიქოვანის მშვენიერი გამოკვლევით, შენიშვნებითა და სიუჟეტთა ვარიანტების საძიებლებით.

XVII საუკუნის დოკუმენტებში ქართული ზღაპრების კრებულის მიკვლევა ჭეშმარიტი აღმოჩენაა. მისი პუბლიკაციით გადაიშალა ახალი ფურცელი არა მარტო ქართული ფოლკლორის, არამედ მთლიანად ხალხური ზეპირსიტყვიერი ხელოვნების ისტორიაში. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ზღაპრების ერთი სიუჟეტი (უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი), რასაც დღემდეც კარგად იცნობდა ქართული ხალხური პროზა, გახდა ორიენტალისტთა XXVI მსოფლიო კონგრესის მსჯელობის საგნად ქ. დელიში, 1964 წლის იანვარში. პროფ. მიხ. ჩიქოვანის მოხსენებამ კონგრესზე „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის ამბავი ძველ ფოლკლორსა და ლიტერატურაში“ მაშინვე გამოიწვია უცხოელ მეცნიერთა ფართო ინტერესი და გამოხმაურება.

ჩვენს წინ დევს საქართველოს ისტორიკოსთა, არქეოლოგოსთა, ეთნოგრაფოსთა და ფოლკლორისტთა საზოგადოების ახალი ორგანოს „მრავალთავის“ პირველი წიგნი, რომელიც ამასწინათ გამოვიდა. აქ გამოქვეყნებულია მონოგრაფია — „მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, გამოსცა, გამოკვლევა და ვარიანტები დაურთო მიხეილ ჩიქოვანმა“. იგი ამდიდრებს არა მარტო ქართული ზეპირშემოქმედების იდეურ საგანძურს, არამედ ძვირფას მასალას აწვდის ისტორიულ დიალექტოლოგიასაც, რამდენადაც ზღაპრების ეს ტექსტები მრავალ დიალექტურ თავისებურებას გვიჩვენებს.

აღმოჩენილი ტექსტები ჩვენს ყურადღებას, უწინარეს ყოვლისა, ენის, ლექსიკისა და ჟანრობრივ-სიუჟეტური თვალსაზრისით იქცევს. აქ გვხვდება საშუალო ქართულის გრამატიკული ნორმების ყაიდაზე გამართული დიალექტური ფორმები, საბა ორბელიანის იგავ-არაკთა და „რუსუდანიანის“ სტილის შესაბამისი სინტაქსური საქცევები. დაცული არ არის ერთი რომელიმე დიალექტური ერთეულის ნორმები; ტექსტების ენა უფრო რამდენიმე დიალექტური ერთეულის თავისებურებათა ერთგვარი ნარევის შთაბეჭდილებას ახდენს. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს ტექსტების ენის, ლექსიკისა და სტილის საგანგებოდ შესწავლის ამოცანას.

ჟანრობრივი თვალსაზრისით მოპოვებული ზღაპრები ორ ჯგუფად იყოფა. ერთნია ხალხური ნოველები („ბრძენი ვაჟი“, „ხელმწიფის სამართალი“, „ცაზე რამდენი ვარსკვლავია“, „უდანაშაულო ცოლი“ და „ჩუმი ვაჟი“), მეორენი — ჯადოსნური მოთხრობები („ღარიბი ბიჭი“, „საკვირველი თევზი“, „შვიდი ძმა“, „თეთრი ქორი“, „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი“ და „ცალთვალა ხელმწიფე“).

ხოლო ერთი ტექსტი — „არაკი ქიშმარის ხელმწიფის ქალისა“, ჩვენი აზრით, ხალხური ქმნილება არ უნდა იყოს და თანაც სრული სახით არც არის წარმოდგენილი, იგი წყდება ყველაზე საინტერესო ადგილას. ტექსტის მეტისმეტად სტილიზებული და ლიტერატურული ხასიათი საეჭვოდ ხდის მის ნამდვილ ხალხურობას.

იმ მკაფიო შედარებითი ანალიზის შემდეგ, რაც პროფ. მიხ. ჩიქოვანის გამოკვლევაშია მოცემული, კაცს სათქმელი თითქოს აღარაფერი რჩება, მაგრამ რამდენიმე პარალელი მაინც უნდა გავავლოთ. ჩვენს ინტერესებს ამჯერად ორი შესანიშნავი ნოველა — „უდანაშაულო ცოლი“ და „ცაზე რამდენი ვარსკვლავია“ იწვევს. ყველა ტექსტზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა.

„უდანაშაულო ცოლი“ ხალხური ნოველის ტიპიური ნიმუშია, აქ გადმოცემულია ერთგული ცოლის ამაღელვებელი თავგადასავალი, რომელიც მიხ. ჩიქოვანის სამართლიანი მითითებით, თანხვდენილია ოცდაათიან წლებში ჩაწერილი „გლეხის ცოლისა“ (გვ. 133-138). ამბავი ეხება ვაჭრების სანძლეოს ერთგულ ცოლზე და ცილდაწამებული ქალის გამართლებას. სამასი წლის წინათ ჩაწერილ ქართულ ხალხურ ნოველას, როგორც გვაჩვენა მიხ. ჩიქოვანმა, სრული, თანხვდენილი პარალელები აქვს 1938 წელს ჩაწერილ იმავე სიუჟეტის ნოველასთან. ეს მეტად საინტერესო და მრავლის მთქმელი დამთხვევაა, რაც ჩვენს წინაშე გარკვეულ ახალ პერსპექტივას სახავს.

ერთგული ცოლის ან უდანაშაულო ქალისათვის ცილის დაწამებისა და შემდეგ გამართლების მოტივებს ქართულთან ერთად მთელი მსოფლიო ფოლკლორი იცნობს.

ერთგული ცოლის ხსენებული და მსგავსი ხალხური მოტივების საფუძველზე დამუშავდა მათი ლიტერატურული რედაქცია, რომლის სიუჟეტის არქაულ ვარიანტად ადრე ალ. ვესელოვსკიმ, ხოლო შემდეგ მ. აზადოვსკიმ და ნ. ანდრეევმა მიიჩნიეს ბერძნული ბალადა მავრიანასა და მეფის შესახებ, ჩვენ კი ამას უნდა დავუმატოთ: ერთგული ცოლის ხალხური მოტივები საფუძვლად დაედო აგრეთვე ჯ. ბოკაჩიოს ნოველას „დასჯილი მატყუარა ანუ გამარჯვებული ცოლი“ („დეკამერონის“ მეორე დღის მეცხრე ამბავი). ჩვენ საბუთი არა გვაქვს დაბეჯითებით ვამტკიცოთ ქართული და სხვა ხალხთა ფაბლიოების წარმოშობა „დეკამერონის“ ამ ნოველის გავლენით, ან, პირიქით, „დეკამერონის“ ხსენებული ნოველის შექმნა ამ ხალხური წყაროს მიხედვით, მაგრამ მათ შორის რომ მეტად ახლო, თვალში საცემი მსგავსებაა, ეს ხაზგასასმელია.

ორში ერთი: ან „დეკამერონშია“ შესული ხალხური მოტივები, ან ხალხური მოტივების წყაროა თვით „დეკამერონი“. ორივე გზა მოტივების გავრცელებისა საგულვებელია. ჩვენ უფრო დამაჯერებლად პირველი შესაძლებლობა მიგვაჩნია, თუმცა არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ გენიოსი მწერლის მიერ ხალხური წიაღიდან ნასესხები და გადამუშავებული მოტივები შეიძლებოდა ხალხშივე გავრცელებულიყო. ფოლკლორის ისტორია ამის ფაქტებსაც კარგად იცნობს. ხოლო თუ ქართული ფაბლიო ბოკაჩიოს ნოველის ანარეკლია, ეგევე უნდა ითქვას სხვა ხალხთა ზეპირ პროზაში გავრცელებულ ანალოგიურ სიუჟეტურ მოტივთა შესახებაც, ოღონდ თითოეული მათგანი დამოუკიდებლად იღებს სათავეს ერთი წყაროდან.

„ცაზე რამდენი ვარსკვლავია“ კითხვა-პასუხის მოტივის ხალხური ნოველაა.

დიალოგის ფორმით, კითხვა-პასუხით გადმოცემული ამბები ხალხურ პროზაში ფართო ადგილს იჭერს. ახლა, როცა აღმოჩენილია კითხვა-პასუხის მოტივების შემცველი ხალხური ნაწარმოების XVII საუკუნის ჩანაწერი, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ამისთანა ხალხურ ნოველებს საუკუნოვანი ტრადიცია ჰქონიათ.

კითხვა-პასუხის მოტივების ლიტერატურული რედაქცია, რომელსაც იცნობს აზიისა და ევროპის ხალხთა მწერლობა, ხალხურიდან რომ უნდა მომდინარეობდეს და გვიანდელ ეპოქას ეკუთვნის, ეს სხვა წყაროებიდანაც დასტურდება. მეფე ჯონისა და კენტერბერიის აბატის ცნობილი ინგლისური ბალადის ჩვენამდის მოღწეულ ოთხივე რედაქციაში, რომელთა ჩამოყალიბებას მკვლევარები 1670-1686 წლების შუალედს აკუთვნებენ, ე. ი. XVII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს, როცა ამ მოტივის ქართული ხალხური რედაქცია უკვე ჩაწერილი იყო და ნეაპოლის არქივში ინახებოდა, შეტანილია კითხვა-პასუხის მოტივის თავისებური ვარიანტი; ინგლისური ხალხური ზღაპრების გავრცელებულ კრებულში კითხვა-პასუხის მოტივი ოდნავ სხვა ნიუანსით ჟღერს, მაგრამ იმავე ისტორიულ პირებს (მეფე ჯონი და კენტერბერიის აბატი) უკავშირდება. აქ XVII საუკუნის ქართული ვერსიის კითხვაც მეორდება. მეფემ აბატს მისცა სამი კითხვა, რომელზედაც გონებამახვილურად უპასუხა აბატის სამოსელში გამოწყობილმა მწყემსმა.

ცოცხალი კითხვა-პასუხი, გონებამახვილური დიალოგები და გამოცანური სადასიტყვაობა მუდამ ბუნებრივი თვისება იყო ქართული ხალხური პროზისა და ეს თვისება მას შენარჩუნებული აქვს დღესაც. კითხვა-პასუხის მოარული მოტივები გვიან შემოერია ადგილობრივ, თავისთავად სიუჟეტებს. ახლა უფრო დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ: კითხვა-პასუხის ხალხური მოტივების ქართული რედაქცია შემუშავებულია ადგილობრივ მასალაზე შუასაუკუნეთა დასაწყისში, ამ მოტივების აღმოსავლური და დასავლური რედაქციების პარალელურად, ოღონდ მის საბოლოო ჩამოყალიბებაში ორივე მათგანს უთამაშია გარკვეული როლი.

უცხოეთის არქივებში მიგნებული ქართული ზღაპრები, როგორც ვხედავთ, ფართო ჰორიზონტს შლის ჩვენი ხალხური პროზისა და მთლიანად ხალხური ზეპირსიტყვიერი ხელოვნების მოტივების შემდგომი შედარებითი შესწავლისათვის. მიხ. ჩიქოვანის პუბლიკაციითა და გამოკვლევით მეცნიერებას შეემატა ახალი მასალა მოარული სიუჟეტების ლოკალური რედაქციების გამოსაკვლევად და სპეციფიკის დასადგენად, ისტორიული ძიების დასაყენებლად მკვიდრად დადგენილი ფაქტების ნიადაგზე.

**პროფ. ალ. ღლონტი**

მამამ ილიას თბილისიდან საწერი ქაღალდი ბლომად ჩამოუტანა და უთხრა:

— აბა, წერე და წერე!

გრიგოლსახარებდა შვილის ნაწერი, მეტადრე თუ ასოები ლამაზად იყო გამოყვანილი, მოუწონებდა, შეაქებდა და ბიჭსაც ეს უნდოდა.

ბავშვმა მაშინვე ერთ ფურცელს თავისი სახელი და გვარი დააწერა — ილია ჭავჭავაძე. გულმოდგინედ გამოიყვანა ასოები, მამას მოეწონა.

ილია ლამპის შუქზე წერდა, მამა ცალი თვალით უყურებდა, ბავშვმა სამი ფურცელი გადაასავა და მერე ძილმა წაიღო.

გათენდა. ილია სახლში ვერ გაჩერდა, ერთი გული ჰქონდა, მასწავლებლისათვის ეჩვენებინა ეს ლამაზი ასოებით ჩაწიკწიკებული ნაწერი. ამიტომ სკოლაში ძალიან ადრე მივიდა და ნაწერი ნიკოლოზ მასწავლებელს გადასცა.

— ნახეთ რამდენი დავწერე, როგორია?

— ყოჩაღ!

მოუწონა ნიკოლოზმა, მერე ილიას ქოჩორზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— წიგნი არ ჩამოგიტანა?

— ვერ უშოვნია.

ნიკოლოზ სეფაშვილი წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, გამხდარი, სახე ცოტა ფერმკრთალი ჰქონდა, მაგრამ ამ სიგამხდრემ ხელი არ შეუშალა და ყვარელში ფალავნის სახელი მოიხვეჭა, მისი წამქცევი და მომრევი არავინ იყო.

როცა ჟინი აიტანდა, შავ ანაფორას კუთხეში მიაგდებდა და მოედანზე ტოლ-სწორებს იწვევდა. ჭიდაობაში გამარჯვებულს გადაბმული ქეიფი და დროსტარება ვერ ღლიდა, სკოლას მაინც არ აცდენდა, მოწაფეებს მზრუნველ მამასავით ეპყრობოდა.

ბიჭებს თავი მოჰქონდათ, ასეთი ღონიერი მასწავლებელი რომ ჰყავდათ.

ნიკოლოზი ღვთის მსახური იყო, ყვარლის თომა მოციქულის ეკლესიაში მთავარ დიაკვნად მუშაობდა, მაგრამ ამ ხელობას მან სოფლისთვის უფრო საჭირო და აუცილებელი საქმე შეუთავსა — ეს იყო მასწავლებლობა.

კარგ ამინდში ბავშვებს ეზოში, მუხის ქვეშ ფეხმორთხმით დასვამდა, თვითონაც წინ დაჯდებოდა, და მანამდე არ ამოიღებდა ხმას, სანამ არ გაინაბებოდნენ.

იმ დღეს ნიკოლოზმა გაკვეთილზე გაზეთი „თბილისის უწყება" მიაწოდა ილიას.

— აქ ერთი კარგი ლექსია მოთავსებული და წაიკითხე.

ილიამ კითხვა დაიწყო. მის პირველსავე სიტყვაზე სიცილი გაისმა.

— ძილი, ძილი! — ვიღაცამ წამოიძახა.

მასწავლებელი წამოდგა.

— რა არის სასაცილო? ლექსს „ძილი" ჰქვია, ძილი არ გაგიგონიათ? გაჩუმდით!

— ილიას თვითონ უყვარს ძილი! — უადგილოდ იხუმრა ალექსიმ.

აიმღვრა ილია, მსუქან ლოყებზე ცეცხლი წაეკიდა.

— ეს ლექსი ზეპირად ვიცი! — უთხრა მან მასწავლებელს და გაზეთი გაუწოდა.

„თბილისის უწყება" ილიას შინაც ჰქონდა, დედა მარიამი, თითქმის აზეპირებინებდა მის თვითეულ წერილს, მით უმეტეს, ლექსს ისე როგორ გაუშვებდა, რომ სხაპასხუპით არ ესწავლა. იცოდა ეს მასწავლებელმა, ამიტომ გაჯავრებულ ბიჭს გაზეთი გამოართვა და ამხანაგის ზურგს ამოფარებულ ალექსის დაუძახა:

— ძილი რომ არ გიყვარს, გამომართვი და წაიკითხე.

ალექსიმ გაზეთი გამოართვა, ორი სტრიქონი ძლივს ამოიკითხა და მერე თავი ჩაღუნა.

— განაგრძე!

განაგრძო. ასოების მარცვლას მოჰყვა, მაგრამ მერე სიმწრით წაკითხულს თავი ვეღარ მოაბა.

ილიას გულმა ვეღარ მოუთმინა, შეებრალა ცუდ დღეში ჩავარდნილი ამხანაგი და მიეშველა.

— გაჩუმდი! — გააფრთხილა მასწავლებელმა და ალექსის გაზეთი გამოსტაცა.

— სირცხვილი შენ, კითხვა ვერ ისწავლე! — მერე მოწაფეებს მიუბრუნდა, — „ძილი" რუსი პოეტის პუშკინის ლექსია, ქართულად თარგმნილი, შემდეგ გაკვეთილზე გადაგაწერინებთ და შეისწავლეთ.

მასწავლებელმა „თბილისის უწყებანი" გვერდზე გადასდო და მაგიდის უჯრიდან ვარდისფერი ქაღალდი ამოიღო. მოწაფეებმა იცნეს, დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა". გუშინ ამ ლექსის პირველი რვა სტრიქონი თვითეულ მოწაფეს ათჯერ მაინც წააკითხა, მერე გადააწერინა და საზეპიროდ მისცა. დღეს მის გამოკითხვას აპირებდა, ამას მაშინვე მიხვდნენ ბიჭები და ლექსი გულში თავისთვის გაიმეორეს. თითის აწევა წესად არ ჰქონდათ. მასწავლებელს ყველა მიაჩერდა, მკვესავი თვალებით შეემუდარნენ, არა მე გამიძახე, არა მეო. ნიკოლოზმა შეატყო, გაკვეთილი რომ ყველამ იცოდა, არც ერთს არ ჰკითხა და მოულოდნელად გამოაცხადა:

— მოემზადეთ საწერად!

მოწაფეებმა გრძელი, დახაზული ქაღალდები, რვეულებად აკინძულები, წინ დაილაგეს. ზოგი რვეული ვარდისფერი იყო, ზოგი ლიმონისფერი და ზოგიც თეთრი. ვინ როგორის შოვნაც მოახერხა, ისეთი მოიტანა.

# პირველი



ეროვნული ბიბლიოთეკა

**კლიმენტი გოგიავა** მოთხრობა მხატვარი გურამ გელთაძე

— გურამიშვილის ლექსს ვაგრძელებთ, პირდაპირ მიჰყევით წინათ ნაკარნახევ სტრიქონებს.

კითხვასა და წერას გვიან მორჩნენ. მასწავლებელმა სახლიდან ჭინჭის ბურთი გამოიტანა. წესად ჰქონდა, ბურთს იმ ბავშვს გადასცემდა, რომელმაც ყველაზე კარგად მოამზადა გაკვეთილი.

ილიამ მოწოდებული ბურთი ჰაერში დაიჭირა. მაღლა აისროლა. თამაში დაიწყო.

მალე გახურდნენ ბიჭები. ბურთი ხელიდან ხელში სწრაფად გადადის, ილია მარდად ვერ დარბის, ტოლსწორები სტაცებენ ბურთს.

ბურთი გორდება მიწაზე, მაგრამ ეს არაფერი. წაგება-მოგებაში არ ითვლება. მთავარია, ერთიმეორეს მიუგდონ ბურთი და დაწესებულ საზღვრამდე ხელით მიიტანონ. ვინც ამას წმინდად გააკეთებს, ის ერთი ქულით წინ წავა.

მასწავლებელმა ერთ ხანს უყურა ბიჭების გაწამაწიას, მერე ჩრდილში მოიკალათა და პლატონ იოსელიანის ახლახან გამოცემული ქართული გრამატიკის პირველი დაწყებითი კანონის წიგნი გაშალა.

ბავშვებმა ყვირილსა და ღრიანცელს უმატეს. ეს არ მოეწონა მასწავლებელს და გასძახა:

— ნუ ყვირით!

ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც მოვიდა თამაშის გუნებაზე და ბურთს გაეკიდა.

— როგორია ქულათა ანგარიში? — იკითხა მან.

— თვრამეტით თორმეტი!

— ვინ იგებს?

— ჩვენ! — ამაყად მიუგო ალექსიმ. ამასობაში მისმა ბიჭებმა იყოჩაღეს და ორი ბურთი კიდევ გაიტანეს.

ალექსი მაშინვე გამოექანა, ილიას შეახტა გაშლილ ზურგზე და გახარებულმა დასძახა: ჰაწიაწო, ჰაწიაწო!

ასე მოიქცნენ სხვებიც. წაგებულებმა მხრებზე შეისვეს მოგებულები და მოედანზე გაიქც-გამოიქცნენ.

თამაში დამთავრდა, ბიჭებმა სული მოითქვეს, წყალი დალიეს, შინიდან მოტანილი შოთითა და გუდის ყველით შიმშილი მოიკლეს.

ილია ჭამის გუნებაზე არ იყო, ნაზუქი შუაზე გადატეხა და ნახევარი ალექსის მიაწოდა.

უყვარდა ეს ენამწარე ბიჭი. ბევრი დარდიანი ლექსი იცოდა. ფანდურსაც კარგად უკრავდა და სიმღერაც ემარჯვებოდა.

ალექსიმ გამოართვა ძმურად მიწოდებული ნაზუქი და ჩაკბიჩა, მოეწონა, მაგრამ მადლობის მაგიერ მწარედ უთხრა:

— ასეთ ნუგბარ საჭმელს რომ მიირთმევ, იმიტომ ხარ მსუქანი, სირბილ-თამაშის შნო არა გაქვს.

— მაშ, რა, წიწაკა ვჭამო?

— რატომაც არა, მარგებელია.

— წიწაკას რომ ეტანები, მიტომა გაქვს მწარე ენა?



— არ იცი რო...

— როგორც გატყობ ამ ნაჭერზეც გიჭირავს თვალი, აჰა, გამომართვი.

— რომ გავსუქდე? — ჩაიცინა ალექსიმ და ხელი გაუწოდა, მაგრამ ილიამ ნაზუქი თვითონ ჩაკბიჩა.

გაწბილება ეწყინა ალექსის, გაშვერილი ხელით ქოჩორი მოიფხანა.

— შეგეძნანა? — მკაცრად ჰკითხა მან.

— ვაი თუ ჩემსავით გასუქდე! — მოუჭრა ილიამ.

* * *

მეორე დღეს მოწაფეები სკოლაში ადრე მოვიდნენ, მაგიდას შემოუსხდნენ, ზოგმა წიგნი გაშალა, ზოგმა რვეული, ზოგმა ფანქარი ამოიღო და ხატვას შეუდგა.

მასწავლებელი გვიან გამოვიდა, ანაფორა გაეხადა, ტილოს შარვალ-ხალათი ეცვა, კეფაზე თუშური ქუდი მოეგდო, მოწაფეებს გაუცინა და უთხრა:

— წიგნები გადავდოთ, დღეს ცხოვრებას ვისწავლით!

ცას ეწივნენ ბიჭები. ფაცა-ფუცით წიგნები დახურეს, რვეულები ჩანთებში ჩაილაგეს.

— კი, მაგრამ სად იქნება ჭიდაობა? — იკითხა ერთმა.

— რიყეში, ვისაც გინდათ სეირი, წამოდით.

აბა, ვის არ უნდოდა სეირის ნახვა!

ილიამ ჩანთა ამოიღლიავა და უკან გაჰყვა მასწავლებელს.

— დღეს მე არც მასწავლებელი ვარ და არც მთავარი დიაკონი ნიკოლოზი. დღეს ნიკა ვარ, გესმით ბიჭებო, — ჩაეკითხა მოწაფეებს, — რომ წავაქციო, დასცხეთ ტაში და ყიჟინი, თუ დავმარცხდი, ტაში მაინც არ დაიშუროთ, ახია, ჩემზე, გესმით?

— არა, თუ წაგაქციეს, ტაშს არ დავუკრავ! — მიუგო ილიამ.

— ვითომ რადაო, გამარჯვებულს ტაში და შექება არ უნდა? — ჰკითხა ნიკოლოზმა.

— უნდა, მაგრამ მასწავლებელი თუ დამიჯაბნა, ტაში რა გულით დავუკრა? — კითხვა შეუბრუნა ილიამ.

— არა, არა, არ დავუკრავთ ტაშს! — აყაყანდნენ ბიჭები.

ამასობაში გზიდან გაიმინდვრეს და რიყეც გამოჩნდა. იქ ხალხს უკვე მოეყარა თავი.

— ვა, ჩვენი მთავარი თავისი ჯარით მოდის! — იხუმრა ვილაცამ. ყველამ ნიკოლოზისკენ მიიხედა. ნიკოლოზი დინჯად მოდიოდა, ზოგი მოწაფე წინ მოუძღოდა, ზოგი უკან მოსდევდა, ილია გვერდში მოჰყვებოდა, ფეხს ძლივს უსწორებდა, უფრო მორბოდა, ოფლში გაღვრილი.

— დღეს ვის ეჭიდავები? — გვიან ჰკითხა ილიამ. ბიჭებიც დაინტერესდნენ.

— თქვენ არ იცნობთ, სიღნაღელია.

— გამოგიწვიათ.

— მე არა, მაგრამ მარჯანიაანთ სტუმარია, სუფრაზე დაუტრაბახია, ყვარელელები, რას გამიძლებენო. ბიჭები გაბრაზებულან და გამოუწვევიათ, მეც ახლახან შემატყობინეს, იქნებ ღმერთი გაგვიწყრეს, დაგვეხმარეო.

— თქვენ რას გაგიძლებთ? — უთხრა ილიამ.

— ვითომ, რა იცი? — გაეცინა ნიკოლოზს.

— ვიცი, ვიცი! — თავი დაუქნია ილიამ. ილიას სხვებიც არ ჩამორჩნენ.

— თქვენ ღონიერი ხართ.

— ჯერ ვინმეს ხომ არ წაუქცევიხართ?

ზედიზედ აყრიდნენ კითხვებს ბიჭები.

მოედანს მიადგნენ.

მეტოქე ჯერ არ იყო მოსული, ყვარელელები კი აჩქარებულიყვნენ, ზოგი ცხენით წამოსულიყო. ფალავანი ლექსოც აქ იყო. მისი ცხენი იქვე, ბზის გადაბრეცილ ხესთან იდგა, თვითონ ნიკოლოზის შესაგებებლად წამოვიდა.

— ლექსია, შენ რომ აქა ხარ, მცოდნოდა, მე არ მოვცდებოდი! — შეაგება ნიკოლოზმა და ხელი ჩამოართვა.

— არა, კოლაჯან, შენ საჭირო ხარ.

— სიღნაღელებმა ასე როგორ შეგაშინათ?! — იკითხა გაკვირვებულმა ნიკოლოზმა.

— ტრაბახა კაცია, ეშმაკიც არის, მე ეშმაკობის მეშინია, თორემ ღონითა და ხერხით არაფერს გავატან!

— მოდის! მოდის! — იხუვლა მოედანმა. შარაგზაზე ჯერ მტვერი დატრიალდა, მერე ცხენოსნები გამოჩნდნენ. გაღმაუბნელი მარჯანიშვილები მოდიოდნენ, მოჰყავდათ თავიანთი საამაყო სტუმარი.

სიღნაღელმა რიყეზე ხალხი რომ დაინახა, ვერ მოითმინა, ცხენი გამოაქანა და პირველი მივიდა მოედანზე.

— გამარჯობათ ხალხნო! — ამაყად დასძახა მან.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! — დაიგუგუნეს მასპინძლებმა.

სიღნაღელი დაბალი იყო, ჩაფსკვნილ-ჩაგრეხილი, ქოსმენივით მოვლილი და მსუქანი. ცხენიდან მარდად გადმოხტა, მათრახი და აღვირი ბიჭს გაუწოდა, მარცხენა მხარი ჩამოწეული ჰქონდა, ეტყობოდა, ღონიერი იყო. გზა დაუთმეს. გასქელებული კისერი მიაბრუნ-მოაბრუნა, ცეცხლოვანი თვალი ყველას მოავლო და ისევ თავისიანებს მიაშურა.

ხალხში მაშინვე ჩუმათ გაისმა:

— ვა, რა ჯანის პატრონია?

— თოხსა და ბართან მწყრალად არის, თორემ ასე რამ გაბერა?

— ამბობენ, ერთი ჭედილაც არ ჰყოფნისო.

— მამა უცხონდა, სხვის მონაგარი შეიძლება ორიც შეჭამოს, მაგრამ ერთი თვითონ იშოვოს?

ილიას ეს ლაპარაკი ესმოდა და ფერიფური მისდიოდა, მასწავლებელი არ წამიქციოსო.

დოლის ბაგა-ბუგმა ხალხი ჭიდაობის ეშხზე მოიყვანა. მოედანზე პირველი ლექსო გამოვიდა, თივის ბულულები მისწი-მოსწია და თავისი ამხანაგების წინ დადგა, მეტოქეს ელოდებოდა, მაგრამ სიღნაღელი თავს იფასებდა, აგვიანებდა.

— გამოდი, გამოდი! — ვერ მოითმინა ვილაცამ.

მოედანზე თმაქოჩორა ბიჭი გამოვიდა, ლექსოსთან მიირბინა, მკლავზე რომ ვერ შეწვდა, მუხლზე სტაცა ხელი და უთხრა:

— ჩემი ღონე შენ!

ეს ბიჭი ნიკოლოზის მოწაფე იყო, ზალიკა ჭავჭავაძე. მას ილიამაც მიჰბაძა, ფალავანს ხელზე წაეტანა და უთხრა:

— ჩემი ღონე შენ!

სიღნაღელი კიდევ არ ჩანდა. ბუჩქებს მოფარებული, ცხენებთან იდგა, თავის მასპინძლებში, ესეც მისი ხერხი იყო, უნდოდა გახურებული მეტოქე მოლოდინით მოექანცა.

ხალხსაც გული გაუწყალდა, ტაში დასცხეს, მედოლე ხალხს აჰყვა. გვიან გამოვიდა სიღნაღელი. ლექსოს ბიჭები ეხვეოდნენ, თავიანთ ძალღონეს „აძლევდნენ".

— გეყოფათ, გეყოფათ! — ლექსომ ბიჭები ჩამოიშორა და სტუმარს შეეგება. ჯერ შორიდან თვალით მოსინჯეს ერთმანეთი, მერე ხელი ჩამოართვეს. ერთ წუთში ჭიდაობა გახურდა. ფალავნებს ტანზე ბული ასდიოდათ. ძლიერი და ღონიერი გამოდგა სიღნაღელი, მაგრამ არც ყვარელელი იყო ჯაბანი, დიდხანს ანჯღრიეს და ამტვრიეს ერთი-მეორე. ბოლოს სიღნაღელის ხერხმა გასჭრა, ელვასავით მხარზე მოიგდო ამხელა კაცი და დასცა...

გულები ჩაწყდათ მოწაფეებს, ტაში არც ერთს არ დაუკრავს, თავები ჩაქინდრეს. ნიკოლოზმა კი თავისი ჯამივით მრგვალი ხელები ერთი-მეორეს შემოჰკრა, მას სხვებიც აჰყვნენ, მაგრამ მათ ტაშს სიხარულის ცეცხლი აკლდა.

სიღნაღელი შუა მოედანზე გამოიჯგიმა, დოინჯი შემოიყარა და თავხედურად დაიბუბუნა:

— შემდეგი გამოვიდეს, მეჩქარება!

კიდევ სამმა ყვარელელმა სირცხვილი ჭამა.

აფეთქდა გრიგოლ ჭავჭავაძე, გაგულისებული მივარდა ნიკოლოზ სეფაშვილს:

— აქ რას ჩამჯდარხარ, ბალღებში, სირცხვილი გსიამოვნებს?!

სანამ სეფაშვილი უპასუხებდა, სიღნაღელის ყვირილი გაისმა:

— შემდეგი გამოვიდეს, მეჩქარება!

— გადი, რას აყოვნებ! — ბობოქრობდა გრიგოლი.

— ცეცხლივით ხომ არ ვეცემი, კაცმა ჯერ სული მოითქვას.

— დასვენებას ელოდები?

— მაშა, ოფლი მაინც შეაშრეს.

— უცნაური კაცი ხარ, მოიტა ხელი — ნიკოლოზმა ხელი გაუწოდა, — ჩემი ღონე შენ! — უთხრა გრიგოლმა.

სეფაშვილმა ხალათი გაიხადა და მოედანზე გადაეშვა. მაშინვე მგელივით ეცა სიღნაღელი.

ბიჭებს გული დაწყდათ, ველარ მოასწრეს მასწავლებლისათვის თავიანთი ძალღონის „მიცემა" და ახლა გახურებული ჭიდაობის დროს, ჩუმად გაიძახოდნენ.

— ჩემი ღონე შენ!

— ჩემი ღონე შენ!

— გაჩუმდით! — იყვირა გრიგოლმა, მაგრამ ჭიდაობის ცეცხლმა უფრო აიტაცა ისინი, ხმას აუწიეს.

სიღნაღელმა სეფაშვილს დიდხანს გაუძლო, მაგრამ ბოლოს მუხლმა უმტყუნა. ტაში და ყვირილი ერთმანეთში აირია. კარგი რამ იყო მოწაფეების მალაყი და ცეკვა, დოლის ბაგა-ბუგი.

გრიგოლმა ამ აურზაურში კარგად დაინახა, სეფაშვილმა როგორ გაშალა მკლავები სიღნაღელის გადასახვევად, მაგრამ დამარცხებულმა ფალავანმა ზურგი შეაქცია და გაიქცა.

სამაგიეროდ გრიგოლმა ჩაიკრა სეფაშვილი მკერდში.

— გაგახარა ღმერთმა, მე რომ გამახარე! — მაშინვე ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და გაუწოდა, — ახლა საჩუქრად ეს გქონდეს, შემდეგ პატივისცემა ჩემზე იყოს.

— მე, დიაკონს ეს რაში მჭირდება?

— ჯვარს მაინც სჯობია, გამომართვი!

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# მხატვრული სიტყვის ოსტატის ნააზრევი

**შალვა რადიანი**

ჭეშმარიტი მხატვარი, რომელიც ქმნის საინტერესო რომანს, მოთხრობას, პოემას, ლექსს, არ შეიძლება, ამავე დროს, არ ფიქრობდეს ხელოვნებაზე, მის ხასიათსა და დანიშნულებაზე, მის ესთეტიკურ და ზნეობრივ ამოცანაზე, თუ რამდენად დაკავშირებულია ის თავის მღელვარე ეპოქასთან და გამოხატავს მოწინავე იდეებს.

მკითხველისათვის, მკვლევარისათვის, კრიტიკოსისათვის ფრიად საყურადღებო და აუცილებელია იცოდეს, თუ რას ფიქრობს მხატვარი ხელოვნებაზე, როგორ აფასებს იგი ლიტერატურის ამა თუ იმ მოვლენას და როგორ გაიაზრებს საკუთარ შემოქმედებით პრაქტიკას, გამოცდილებას.

ამ ბოლო წლებში გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი მწერლების არა მარტო მხატვრული ნაწარმოებები, არამედ მათი ლიტერატურულ-კრიტიკული და თეორიულ-ესთეტიკური ნარკვევების კრებულები. მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, შ. დადიანის, ირ. აბაშიძის, ლ. ქიაჩელის, დ. შენგელაიას, შ. აფხაიძის, ს. ჩიქოვანის, გ. ნატროშვილის, აკ. გაწერელიას, ვ. გაბესკირიას და გ. შატბერაშვილის ნარკვევებმა ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვან საკითხებზე.

კონსტანტინე გამსახურდია სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე სერიოზულ ყურადღებას აქცევდა უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრობლემებს; მან თავისი შეხედულებანი წამოაყენა მხატვრული შემოქმედების მთელ რიგ ძირითად საკითხებზე. ეს მასალები თავმოყრილია მის თხზულებათა მეექვსე ტომში.

კონსტანტინე გამსახურდია ცდილობს უფრო ზუსტად და მკაფიოდ გაარკვიოს ნოველის, მოთხრობისა და რომანის განსხვავება ერთმანეთისაგან, განსაზღვროს თვითეული მათგანის თავისებურება: „ნოველაში, მოთხრობაში ერთი პიროვნების, ან რამდენიმე ადამიანის ცხოვრების ერთი მომენტია მის გამძაფრებულ სიტუაციაში განსახიერებული და ეს ყოველივე აგებულია ერთ ფაბულარულ მაგისტრალზე. რომანი იმითაც განსხვავდება ნოველისაგან, რომ აქ მთავარ მაგისტრალს პარალელური სიტუაციები თან ახლავს. გარდა ამისა, ნოველაში უკვე მზა სქემებია ხასიათისა მოცემული (ისევე როგორც მოთხრობაში), მზა ხასიათები, ხოლო რომანისტი ხასიათებს თანდათანობით ანვითარებს ჩვენ თვალწინ (თხზულებანი, ტ. VI, გვ. 529-530).

კ. გამსახურდიას მართებული თქმით, რომანი ტევადი ჟანრია. „თუ ლექსი ერთი პიროვნების განცდათა ერთს ან ორ მომენტს განასახიერებს, ნოველა ერთ რომელიმე სიტუაციის აქცენტირებულ მომენტს გამოხატავს, დრამა განსაზღვრულია დროის მონაკვეთით, რომანი ან სერია რომანებისა, როგორიცაა ბალზაკის ადამიანური კომედია, ასევე, ზოლას რომანებიც — მთელი ეპოქის პანორამაა, სადაც განსახიერებულია არა თუ ერთი ადამიანის, მთელ მოდგმათა ცხოვრების, მთელი ეპოქის სოციალურ, პოლიტიკურ, ესთეტიკურ, რელიგიურ ვითარებათა, ყოფისა და არსებობის სურათი, ერთი სიტყვით „ცხოვრება გლეხის ქოხიდან იმპერატორის სასახლემდე". თანამედროვე რომანი იძლევა ეპოქის ვრცელ პანორამას, არა ერთი ან ორი ადამიანის ცხოვრებასა და ხასიათს, არამედ ხასიათების მთელ გალერეას, სადაც დადგმულია ეპოქის სარკე და გახსნილია ყველა ზამბარა და კვანძები, რომელნიც ამოძრავებდნენ განსაზღვრული პერიოდის ადამიანთა ცხოვრებას" (იქვე, გვ. 535). ლექსისა და პოემისაგან, რომანი განსხვავდება ხასიათების ჩვენებით. რომანი, დრამასთან ერთად, იძლევა ხასიათების გალერეას; რომანისტი ერთსა და იმავე ქმნილებაში უნდა ათავსებდეს პათეტიურს, ელეგიურს, დრამულსა და თანაც სატირულ-იუმორისტულ ტონს. მისთვის ნიშანდობლივია რომანიულობა. ეს ელემენტი მას ყოველთვის ახასიათებდა, ყველა ხალხთა ლიტერატურაში (იქვე, გვ. 530-531). რომანისტს, დიდ პოეტურ ფანტაზიასთან ერთად, უნდა მოეპოვებოდეს დიდი მეცნიერის გულდინჯი შრომისა და დაკვირვების უნარი. დაკვირვება საჭიროა მწერალისათვის ისევე, როგორც მეცნიერისათვის (იქვე, გვ. 533). ამ საკითხში იგი იმოწმებს ონორე ბალზაკს, რომელიც აღნიშნავდა თავისი სამწერლო მუშაობის შესახებ: „რადგანაც მე ისევე ცუდად ჩაცმული დავეხეტიალებოდი, როგორც უბრალო მუშა, არავინ მერიდებოდა... დაკვირვების უნარი ქვეშეცნეულად მომეპოვებოდა და მაძლევდა უნარს მეორე ადამიანის სიცოცხლით მეცხოვრა, ჩემი დაკვირვების საგანში გადავსულიყავი და ამგვარად მივაგავდი იმ დერვიშს ათასერთი ღამისას, რომელიც შეისხამდა სულსა და ხორცს იმ არსებითა, რომელთაც თავათ ახსენებდა ხოლმე". ამ სიტყვებს შემდეგ კ. გამსახურდია ასკვნის: „აქ გენიოსური ნათელხილვით არის ნაჩვენები მწერლის სულის ურთულესი პროცესი, სხვად ქცევის მისტერია, ურომლისოდაც მწერალი ვერაფერს ვერ გახდება" (იქვე გვ. 533); დაკვირვებაში მწერალი და მეცნიერი ძლიერ ჰგვანან ურთიერთს. ბალზაკიც ისეთივე დიდი დაკვირვების უნარით იყო აღჭურვილი, როგორც დარვინი, ან მენდელეევი.

რატომ შევაჩერეთ ყურადღება ჩვენი გამოჩენილი მწერლის ნააზრევის ამ მხარეზე? იმიტომ, რომ ყოველივე ამას დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ხომ ხშირად ვართ მოწმენი, როცა ჟანრების აღრევის გამო ჩვენში რომანს ეძახიან ყოველ წაგრძელებულ ამბავს და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ჟანრის თავისებურებას. გამოცდილი ქართველი რომანისტის დაკვირვებანი, რაც დაფუძნებულია მის მდიდარ შემოქმედებითს პრაქტიკაზე და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ღრმა ცოდნაზე — დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი პროზის წინსვლას.

ხაზგასმით აღნიშნავს რა ფანტაზიის განუზომელ ძალას და როლს, რომანისტი, იმავე დროს, წერს: „მე არა მწამს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ფანტაზიისაგან გამოკვებული ხელოვნება, ან ისეთი, მარტოოდენ იმაჟინირებულ ტიპაჟს და სახეებს რომ ემყარება. მუდამ სინამდვილისაგან ამილია ჩემი შემოქმედების პოეტური ანდაზა. არცერთი ლანდშაფტი, არცერთი ტიპი, არცერთი სახე მხოლოთ ფანტაზიით არ მომიგონია" (იქვე, გვ. 521, 522). და შემდეგ: „ჯენეტ ხანუმისა და სავარსამიძის პროტოტიპები ევროპაში შემხვედრია 1914-16 წლებში. ასევე ბრაჰმინის, აბსენტუნგისა, თადა ლანდიასი, დოქტორ ფატენპურის, ნოიჰაუზის, ხალილ ბეის, ფარვიზის, საქართველოში კი ტაია შელიას, ქოსა გახუს, ექიმ შარუხიას და ლილის, ტაგუ სამუგიასი და სხვათა (რა თქმა უნდა, სახელსა და გვარს ვცვლიდი მუდამ). „დიონისოში" ძველი რომაული სახლის აღწერა დამჭირდა, სპეციალურად შემისწავლია რომაული სახლების გეგმები მუზეუმებსა და ფილოლოგიურ ნაშრომებში. რომაული ლარესის კულტს ძველი რომიდან ინდოეთამდის მივსდიე. ტაია შელიას გველების ამბავი ზოგი ჩემს ბავშვობაში გამიგონია, ზოგიც ქართული მითოლოგიიდან ამოვკრიბე" (იქვე, გვ. 522).

მწერლის ყურადღების ცენტრში თანადროულობა უნდა იყოს. წარსულსაც მწერალი ამ ასპექტში უნდა გვიჩვენებდეს. „დანტე, ლეონარდო დავინჩი, რაფაელი, შექსპირი და გოეთე ხან ბიბლიურ მოტივებს ამუშავებდნენ, ხან ანტიურ ტემებს, მაგრამ მათი შემოქმედებითი მიზანი იყო არა პოპულარიზება წარსულისა, არამედ შეფარვული, პარაბოლური ენით გამოჩინება მათივე თანადროულობის, მათივე ეპოქისა. მიქელ-ანჯელოს მოსე — ებრაელი წინასწარმეტყველის ძეგლი როდია, არამედ თვალნათლივ განსახიერებაა იმ ეპოქის გენიისა, რომლის საუკეთესო ფალავანი იყო თავათ ოსტატი ამ ქმნილებისა".

კ. გამსახურდია უარყოფს „გადაჭარბებულ მინიატურიზმს" ლიტერატურაში. იგი მიუთითებს, რომ ამ მხრით ცუდი სამსახური გაუწიეს მხატვრულ შემოქმედებას სიმბოლისტებმა, ფუტურისტებმა და ექსპრესიონისტებმა. კ. გამსახურდია იცავს იმ აზრს, რომ „ჩვენი ეპოქა ბუნებრივად მოითხოვს დიდსა და მონუმენტურ ეპოსს, რადგან ეპოქალური ეს იგივეა, რაც ეპიური, ნაციონალური მწერლობა მხოლოდ მაშინ იქცევა ლიტერატურად, როცა იგი ეპოსის თავკიდურებს დაემყარება" (იქვე, გვ. 48).

ძნელია ამ მოკლე წერილში შევეხოთ ყველა პრობლემას, რომლებსაც ავტორი აყენებს თავის წერილებში ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. საერთოდ კი ვიტყვით, რომ ამ წერილებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლებისათვის. ჩვენი ცნობილი, დამსახურებული მწერლების ნააზრევი, შემოქმედებითი გამოცდილება თავისებური და დიდი სკოლაა ნიჭიერი და პერსპექტივიანი ახალგაზრდების შემოქმედებითი წინსვლისა და დავაჟკაცების გზაზე.

---

წარსულში ჰერცოგები და ბარონები ცდილობდნენ თავიანთი გაცრეცილი საგვარეულო ღირსებების ბრწყინვალება იმით აღედგინათ, რომ ცოლად მოჰყავდათ ჩიკაგოელი თუ ტეხასელი მილიარდერების ქალიშვილები. არისტოკრატიული წოდების ქალიშვილები ამჟამად უფრო მოხერხებულები აღმოჩნდნენ; ისინი, წინაპართა მსგავსად, ახლა თავიანთ თავს კი აღარ ჰყიდიან, არამედ აქირავებენ. რა თქმა უნდა, გარკვეული თანხის საზღაურად. ამ მიზნით პარიზში გაიხსნა სპეციალური ბიურო, რომელიც ძირითადად მდიდარ ტურისტებს ემსახურება. ბიუროში შეიძლება, სურვილისამებრ, „გარკვეული დროით" იქირაოთ ახალგაზრდა არისტოკრატი ქალი.

„მომსახურება" მრავალფეროვანია: მაგალითად, თქვენ სტუმრები გყავთ და გინდათ შინ ელჩის ქალიშვილი იყოლიოთ. სიამოვნებით! გადაიხადეთ 120 ფრანკი და წაიყვანეთ ელჩის ქალიშვილი. არ მოგეწონათ იგი? შეგიძლიათ სხვა ამოირჩიოთ. დრო არ გაქვთ? ტელეფონით დარეკეთ.

თქვენ გნებავთ ნამდვილი ბარონესა? ერთი წუთით... გადაიხადეთ 180 ფრანკი და წაიყვანეთ განთქმული გვარის ბარონესა.

დანარჩენი „მომსახურება" უფრო ძვირია. „ქალიშვილი — უნივერსალი", რომელსაც შეუძლია იყო თარჯიმანიც, გიდიც, მდივანიც, შოფერიც და „მეგობარიც" — შეიძლება დაიქირაოთ 280 ფრანკად. ამგვარი „მომსახურება" ყველაზე დიდი მოწონებით სარგებლობს ამერიკელ ტურისტთა შორის.

**გაზეთი „იუმანიტე-დიმანშ" (საფრანგეთი).**

# ჭრელ-ჭრელი ამბები



## ქიმიური ომი

ეს არის ნამდვილი ომი. მაგრამ ომი ქვემეხებისა და ტანკების, რაკეტებისა და ბომბების გარეშე. ამ ომში გამარჯვებას ყველა ადამიანისათვის სარგებლობა მოაქვს.

იცით თუ არა თქვენ, რამდენ ზარალს აყენებს ადამიანს თუნდაც ჩვეულებრივი კრაზანა? გამოანგარიშებულია, რომ ამ მწერის მიერ მოყენებული ზარალი ჩვენს ქვეყანაში წელიწადში დაახლოებით მილიარდნახევარ მანეთს აღწევს. სარეველები? სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ მათი არსებობა, მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებს, ყოველწლიურად, სულ ცოტა, ოთხი მილიარდი დოლარი უჯდება.

თუ გამოვითვლით ყველა იმ ზარალს, რომელსაც ერთ წელიწადში მსოფლიოს სოფლის მეურნეობას აყენებენ ცხოველებისა და მცენარეების მძარცველები, მეტად გასაოცარ თანხას მივიღებთ. ამ თანხით თავისუფლად შეიძლება მთელი წლის მანძილზე უფასოდ გამოვკვებოთ 200 მილიონი ადამიანი.

„ციდი" ქართულად ნიშნავს მკვლელს. ასეთი „ციდების" შესაქმნელად ახლა დაძაბული მუშაობაა ქიმიურ ლაბორატორიებში. უკვე შექმნილია ინსექტიციდი — „მწერების მკვლელი", ზოოციდი — „მღრღნელების მკვლელი", ჰერბიციდი — „ბალახის მკვლელი" და სხვ. ეს „ციდები" დიდ გამოყენებას პოულობენ სოფლის მეურნეობაში და მუსრს ავლებენ ადამიანის მტრებს.



## ყველაზე მაღალი სპორტსმენი

მსოფლიოში ყველაზე მაღალ სპორტსმენად დიდხანს ითვლებოდა საბჭოთა კალათბურთელი იან კრუმინში — 2 მეტრი და 18 სანტიმეტრი. ეს გოლიათი ახლა შეიძლება „დაბალ" ადამიანად მოგეჩვენოთ, თუ მას ამერიკელ კალათბურთელს დოლარეს პულარდს შევადარებთ. 1964 წელს პულარდს 18 წელი შეუსრულდა, მისმა სიმაღლემ 2 მეტრსა და 50 სანტიმეტრს გადაამეტა.



## ყველაზე მდიდარი მეცნიერთა შორის

წყალბადი ცნობილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა სერ ჰენრი კავენდიშმა აღმოაჩინა. სწავლულთა შორის ყველაზე მდიდარი და მდიდართა შორის ყველაზე სწავლული, — ასე უწოდა კავენდიშს ერთმა მისმა თანამედროვემ. ამას გარდა, ის თურმე საოცარი პედანტი იყო — როცა საკუთარი ბიბლიოთეკიდან წიგნს იღებდა, ფორმულარში აწერდა ხელს, უსვამდა თარიღს და შენიშვნასაც უწერდა: „წიგნი დააბრუნეთ დაუგვიანებლივ!"

კავენდიშმა წყალბადი 1766 წელს აღმოაჩინა, 1783 წელს კი ფრანგმა პროფესორმა შარლმა მსოფლიოში პირველი საჰაერო ბურთი გაუშვა, რომელიც წყალბადით იყო სავსე.

წყალბადზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ წყალბადის ატომის რადიოგამოსხივებას ბოლო ხანებში მეცნიერები სულ უფრო გულმოდგინედ აკვირდებიან. ვარაუდობენ, რომ წყალბადის ტალღაზე ადამიანმა შეიძლება რადიოკავშირი დაამყაროს კოსმოსის სხვა პლანეტებთან, თუ იქ გონიერი არსებანი ცხოვრობენ.



## ყველაზე პირველი წერილი

1988 წელს ლონდონის მუზეუმში გამოფენილ იქნა მსოფლიოში ყველაზე ადრინდელი წერილი. იგი იპოვნეს გათხრების დროს ურში, შუმერთა ქვეყანაში (შუამდინარეთი); წერილი შესდგება თიხის თხელი ფენებისაგან და ჩადებულია თიხისავე კონვერტში, დათარიღებულია ბაბილონის პირველი დინასტიის მეფობის დროით, ე. ი. დაწერილია 5000 წლით ადრე ჩვენს ერამდე. მეცნიერებმა ძლივს ამოიკითხეს ეს წერილი და მიხვდნენ, რომ იგი ეხება იჯარას თუ გაყიდვას მიწის ნაკვეთისა, რომელიც ვინმე ანინის ეკუთვნოდა.

ასეთი წერილის წასაკითხად საჭირო იყო კონვერტის გატეხვა, მაგრამ ამჟამად არქეოლოგები რენტგენის მეშვეობით „გაუხსნელად" კითხულობენ ბაბილონური და ასურული ფოსტის დაბეჭდილ წერილებს.

ამ წერილებს წამახვილებული ჩხირებით წერდნენ რბილი თიხის ფილებზე, რომლებსაც შემდეგ ღუმელებში გამოწვავდნენ, ასე, რომ, ამ ხერხით იღებდნენ თავისებურ აგურს; კონვერტს შემდეგნაირად აკეთებდნენ: წერილ აგურს თიხის დამატებით ფენას აკრავდნენ და შემდეგ მზეზე აშრობდნენ. გაშრობის წინ კონვერტზე ჩხირებით აწერდნენ მისამართს და წერილის მოკლე შინაარსს.



## უცნაური მეგობრობა

აქტიუბინსკის ოლქის კოლმეურნეობა „ავანგარდის" მეცხვარემ აბენ ტოკაროვმა შეამჩნია, რომ მისი ფარის მოდარაჯე ძაღლი ხშირად გარბოდა აკაციის ბუჩქების უკან და იქ დიდხანს რჩებოდა.

მწყემსი ფეხდაფეხ აედევნა ძაღლს, ბუჩქებში შევიდა და გაოცებული შეჩერდა.

ძაღლი მელიის ლეკვებთან თამაშობდა. ლაბუა ლეკვები ხტუნვით ახტებოდნენ მას ზურგზე და თათებით უწიწკნიდნენ ბალანს. კმაყოფილი ძაღლი ზურგიდან ფრთხილად იშორებდა პატარა მეგობრებს, რომლებიც მიწაზე დაცემის შემდეგ ფეხზე დგებოდნენ და ხტუნვა-ხტუნვით მიიწევდნენ ძაღლისაკენ.

ეს ლაღობა ძუ მელამ შეწყვიტა, რომელიც გამწარებული წრიპინით მოიჭრა შვილების გადასარჩენად. მეცხვარის ძაღლი, რომელსაც შეეძლო სული გაეფრთხობინებინა დედა მელასათვის, უხმოდ გამობრუნდა უკან, პატარები კი დედის ძუძუს მიეტანნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოხუცებული სპორტსმენი

მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული სპორტსმენია 1908 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ინგლისელი ჯო დიკინი. 1968 წელს განდიკაპში გამართულ შეჯიბრებაზე მან 5 მილი 18 წუთსა და 39 წამში გაიარა და თავის უახლოეს მოწინააღმდეგეს 4 წუთით გაასწრო.

ფინიშის შემდეგ 84 წლის ვეტერანმა თქვა:

— დღევანდელი შედეგი უფრო უკეთესია, ვიდრე ის მაჩვენებელი, რომელსაც 80 წლის ასაკში მივაღწიე.

მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ ალპინისტად შეიძლება ჩავთვალოთ კუნძულ მერის მკვიდრი (ეს კუნძული ირლანდიის ზღვაში მდებარეობს) ტომას ბრინსონი. ტომასი 80 წლისა იყო, როცა ყოველ დილით კუნძულის ყველაზე მაღალ მთაზე ადიოდა „გასასეირნებლად". 1960 წელს ბრინსონს ასი წელი შეუსრულდა.

ამ დღეს მან საიუბილეო ასვლა მოაწყო მთაზე, მაგრამ ასვლის შემდეგ გულდაწყვეტით განაცხადა: „ცოტა ქოშინი ამივარდა, ეტყობა ვბერდები".



## მუსიკოსების ქალაქი

ლიტვაში, ვილნიუსის წარმტაც გარეუბანში, ამას წინათ ააგეს კოტეჯების ქალაქი, რომელსაც „მუსიკალური" უწოდეს. ამ კოტეჯებში ლიტველი მუსიკოსები დასახლდნენ. ბინები მოხერხებულად არის მოწყობილი, ოთახების კედლები ხმაურს არ ატარებენ. კოტეჯების მეზობლად აშენებენ დიდ დარბაზს, სადაც კომპოზიტორები კონცერტებს გამართავენ.



## ნაგაზი და... მაგნიტოფონი

ინგლისში ამას წინათ დაამზადეს ორიგინალური მოწყობილობა, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ... მოდარაჯე ძაღლის ნაცვლად.

ფოტოელემენტებით შეიარაღებული მოწყობილობა მეტად მგრძნობიარეა. რაიმე უმნიშვნელო, მაგრამ საეჭვო ხმაურის დროს იგი მოქმედებას იწყებს, ავტომატურად ჩაირთვება მასზე დამონტაჟებული მაგნიტოფონი და ირგვლივ ძაღლების ღრენისა და გააფთრებული ყეფის ხმა გაისმის. ეს ხმა იმდენად რეალური და შემაზრზენია, რომ ბოროტმოქმედნი იძულებულნი ხდებიან მაშინვე აიღონ ხელი თავიანთ განზრახვაზე.

## გ. მაგნუსი

ტრამვაის ვაგონი ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ აშკარად მესმოდა, როგორ ჭრიალებდნენ მისი კედლები; ვატყობდი უკვე მსრესდნენ, თანაც წინდების ამარა ვიყავი, რადგან ფეხსაცმელები ვაგონში შესვლისთანავე დავკარგე.

წინა დერეფნიდან ცივი და ძლიერი ქარი უბერავდა. ვიღაცამ დაახველა და ბრაზიანად წამოიძახა:

— გამჭოლი ქარია, კარი დახურეთ!

ეს სიტყვები მთელმა ვაგონმა აიტაცა. შეწუხებული მგზავრების მზერა იმ კაცისაკენ იყო მიპყრობილი, რომელიც კართან ყველაზე ახლოს იყო. ჩემი არ იყოს, ის საბრალოც ისე იყო გაჭედილი, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, ოდნავ განძრევაც კი არ შეეძლო, ძალიან უნდოდა მოშორებოდა კარს, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა, დამნაშავესავით იღიმებოდა.

— რა თავხედობაა! მოხცილდით კარს!

— შეხედეთ, არც ესმის... შენ გეუბნებიან, შე ხეპრევ!

კარში გაჭედილი კაცი ისევ თავაზიანად იღიმებოდა. მგზავრებს მოეჩვენათ, რომ ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— გადააგდეთ ვაგონიდან!

— ჭირმა წაგიღოს, შტერო!

— კისერი უნდა მოუგრიხოს კაცმა მაგნაირ პირუტყვს.

— წამოარტყით თავში მაგ არამზადას!

— შეხედეთ, განა ესმის რამე? ყრუა თუ ბრმაა, ეგ მაიმუნი!

— მიდი, ჩააზილე წიხლი, მაგ კრეტინს, მაგას!

ლანძღვა-გინების ესოდენ შეუკავებელი ნიაღვარი თითქოს სულაც ვერ აღწევდა კართან მიხრესილი კაცის გულამდე. იგი უწინდებურად ჩუმად იყო და გულდიად იღიმებოდა.

გაჩერებასთან რომ მივედი, დიდი ჯაფის შედეგად ძლივსძლივობით გავძვერი გასასვლელისაკენ. ის კაციც წინ ჩამიძვრა ტრამვაიდან.

— უკაცრავად, — გამოველაპარაკე მას და თან გაოფლილი კისერი მოვიწმინდე საიდანღაც ჩემს ჯიბეში მოხვედრილი სხვისი ცხვირსახოცით, — უკაცრავად, როგორ შესძელით მშვიდად აგეტანათ თქვენი მისამართით დაძრული ასეთი ლანძღვა-გინება? ალბათ ნევროპათოლოგი თუ ბრძანდებით, ანდა საბინაო განყოფილებაში მუშაობთ?

მან თავი გაიქნია.

— არა, ბატონო, — მომიგო ოდნავი ღიმილით, — ფეხბურთის მსაჯი გახლავართ!

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა.



ნახატი-ხუმრობა დ. ბაშელეიშვილისა.

## ნოველები

### მოლოდინი

მოთმინების ფიალა დიდი ხანია ამევსო. საათზე ვიხედები. ცხრა სრულდება, ის კი არა ჩანს. ასე დაგვიანება შეიძლება? ვიცი, ისევ მე გავმტყუნდები!

შემცივდა. კისერი მაქვს მოღრეცილი იქით, აიდანაც უნდა მოვიდეს. ურნის ირგვლივ ტროტუარი პაპიროსის ნამწვავებით გავავსე. სხვა დროსაც დაუგვიანია, მაგრამ ასე, არასოდეს. ნამდვილად რაღაც დაემართა.

ვაშა! გამოჩნდა! მოდის! .

ისე დინჯად მოდის, თითქოს არც დაუგვიანია.

ლამის გული ამოვარდეს სიხარულისაგან.

მომიახლოვდა. პაპიროსი ურნისაკენ ვისროლე და შესახვედრად მოვემზადე.

შეიძლება საყვედურიც ვუთხრა დაგვიანებისთვის.

მაგრამ მან გვერდით ჩამიარა და დინჯად განაგრძო გზა.

ხალხით იყო გაჭედილი და მძღოლმა არ გააჩერა.

### ისევ მოლოდინი

მან მითხრა, რომ ჩემთან მოვიდოდა შაბათს, სამი საათის შემდეგ. ამიტომ სამსახურიდან ადრე წამოვედი.

ზაფხული იყო და ცოლ-შვილი აგარაკზე მყავდა გაგზავნილი.

ოთახები მივალაგ-მოვალაგე. პატარა მაგიდა გავაწყე, ხუთვარსკვლავიანი დავდგი, ხილი, ტკბილეული, ძეხვეული... ისიც ნამუშავარი მოვა და ეშიება.

ველოდი, რა გასაკვირია, ორი კვირა დავდევდი და ძლივს დავიყოლიე მოსვლაზე, „ჰო“ ძლივს ვათქმევინე.

აბაზანასთან მისასვლელი დერეფნის პარკეტი საგანგებოდ გავაპრიალე. ის, რა თქმა უნდა აბაზანაშიც შევა და უხერხულია უსუფთაობა რომ შენიშნოს.

შესრულდა სამი და ველოდები ზარის წკრიალს.

კიბეზე ყოველი ფეხის ხმა წნევას სამასამდე მიწევს.

მაგრამ ზარს არავინ არ მირეკავს.

შესრულდა ოთხი. რომ მოვა, უსათუოდ საყვედურს ვეტყვი. რა თქმა უნდა, მორიდებით, რომ არ გამიბრაზდეს და უკან არ გაბრუნდეს.

მაგრამ მოვა კი?

მენატრება, ვინმემ დარეკოს, თუნდაც სხვამ, ვთქვათ, მეზობლის პატარა ბიჭმა. ის სიხარული, კარების გაღებამდე რომ შემიპყრობს, ხვალამდე მეყოფა.

მაგრამ არ მოვიდა.

აღშფოთებული გარეთ გამოვვარდი და სახლმმართველს ვეტაკე. ბოლოსდაბოლოს, როდემდე უნდა იყოს ჩემი აბაზანა მოშლილი და ის ხელოსანი როდემდე უნდა იგდებდეს თავს?

რაფიელ მამულაშვილი.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: ზეიმი ბაკურიანში. ნახატი დ. ნოდიასი და თ. სამსონაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ხ. დურმიშიძე, მ. ხაკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეჩიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/I-66 წ. გამოშც. № 265, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფურმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფურმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფურმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 4424, უე 01804
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ახალწლის ღამე

ფოტო გ. დადვაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056



# ბაკურიანი

ხალხურ მოტივზე

თოვლი თოვს, წვიმა ჩქრიალებს,
თუ სხივმფინარე დარია,
გულში გვაპკურებს სიამეს,
სიცოცხლით გაგვიხარია.

მთა არის, ზღვა თუ ხმელეთი,
ან ვარსკვლავების ჯარია,
გინდ მთვარე — მტერი ბნელეთის,
მთის მხარზე შემომჯდარია.

დიდი მზე ცაში მბრუნავი,
ვით ხნულში ლომა ხარია,
შორს ცისარტყელა ბრიალა,
ვით ამირანის ხმალია.

ტყეში ფოთლების ფრთხიალი,
გზებზე ირმების კვალია,
მდინარეების ღუღუნი —
არაგვია თუ მტკვარია.

ტოტჩალასტული ბაღნარი,
პურის ყანა თუ ზვარია,
ბელელ-მარნებთან ქალ-ვაჟთა
ერთი ზათქი და ზარია.

მოიმღერიან, თითქოს და
ზღვით მოვარდნილი ქარია,
მკერდმოღეღილი ბიჭები,
თმებაჯონქილი ქალია.

მათი გაბმული ყიჟინა,
ხმაგამყივანი არია,
სულ სიყვარულის, სიცოცხლის
და სიჭაბუკის ბრალია!

ანზორ თევზაძე